ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 20 – 21 ოქტომბერი, 2018 | №249 (7794) | ფასი: 60 თეთრი

პაატა ბურჭულაძე: „ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ფონდ „იავნანას“ წინაალმდეგ მორიგი პროვოკაცია იგეგმება“

გვ.4

„ერთი დოლარი სამი ლარი გახდება“

გვ.3

ზაალ კასრელიშვილი: „დასავლეთმა სააკაშვილს მხარდაჭერაზე უარი უთხრა“

„ოცნება“ ზურაბიშვილის პირველივე ტურში გასაყვანად ყველაფერს გააკეთებს“

გვ.4

სოსო ცინცაძე: „ხელისუფლების არაპოპულარული კანდიდატი დილიდან საღამომდე იმას ტირის, თუ რატომ არ უყვარს ამომრჩეველს“

ზაზა ხატიაშვილი: „ივანიშვილის რეჟიმს ლევან მურუსიძე და მიხეილ ჩინჩალაძე გაასამართლებენ“

„ბევრნი არიან სუბელიანები. ძალიან ბევრი ასრულებდა ამათ ბინძურ დავალებებს და მერე კომპრომატებს ინახავდა“

გვ.2

გვ.2

მარიამ გოგოსაშვილი: „ბესელიას იდეა გამოხატვის თავისუფლების პირდაპირი შეზღუდვაა“

გვ.5

ვახტანგ ყოლბაია: აფხაზეთი რუსეთს არასდროს შეუერთდება

ანზორ აბრალავა: „ქართული ოცნება“, ნაცმოძრაობისა და მისი განშტოებების გარდა, არავის აღიარებს“

გვ.6

ეკონომიკა

გვ.6

ვახტანგ ჭარაია: „ინფლაციის დროს საგარეო ვალი ორმაგ წნეხს ახდენს ლარის კურსზე“

ყაზახურმა მხარემ „ყაზტრანსგაზ თბილისის“ გაყიდვის ღირებულება დაასახელა

გიორგი ქობულია: „ეს პოლიტიკური კრიზისი რეალურად კრიზისი არ არის. მიზეზი ხალხის გასაჭირია“

ISSN 1987-9385

3 თბილისში მშენებლობაზე გაცემული ნებართვები შემცირდა

4 პარკირების საათობრივი საფასური, შესაძლოა, 20 თეთრიდან დაიწყოს

5 სალომე ზურაბიშვილი: „დროა, გადავიდეთ ევროპულ ფორმატზე“

4 ივა ჭყონია: „ყველაზე ცუდი რამე ხდება, თუკი შეიძლება მოხდეს და ეს ხდება ბოლო 3-4 წელია“

ზაზა ხატიაშვილი: „ივანიშვილის რეჟიმს ლევან მურუსიძე და მიხეილ ჩინჩალაძე გაასამართლებენ“

„ბევრნი არიან სუბელიანები. ძალიან ბევრი ასრულებდა ამათ ბინძურ დავალებებს და მერე კომპრომატებს ინახავდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი პასუხობს.

– ბატონო ზაზა, „ომეგა ჯგუფმა“ უცხოეთში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა გაასაჯაროვა. ამბობენ, რომ ექსპერტიზა ჩაატარა ბრიტანულმა კომპანიამ და დადგინდა, რომ ჩანაწერი არის უწყვეტი, არ შედგება 6 სხვადასხვა ჩანაწერისგან, როგორც ამას თქვენ აცხადებდით. ამბობენ, რომ ჩანაწერი გაკეთებულია ერთ დღეს უწყვეტი ჩაწერის შედეგად. რას იტყვით თქვენ?

– ეგ არის ტყუილი და ჩვენ აუცილებლად ვაპირებთ სკოტლანდიარდში საჩივრის შეტანას. ჩვენ ექსპერტიზა ჩავატარეთ ექსპერტიზის ცენტრებში. ჩვენ ხომ გავასაჯაროვეთ დასკვნა.

– მაშინ რა ხდება?

– მე ექსპერტიზაზე გავაგზავნე რუსთავი 2-ის ეთერში გასული მასალა, რომელიც იყო დამონტაჟებული და მაგათ რა გააგზავნეს, ეს მე არ ვიცი. მე რაც გავაგზავნე, ის მითითებულია იმ დოკუმენტებში. ეგენი მე მედავებოდნენ, რატომ არ გააგზავნე პირველადი დოკუმენტიო. მათ თუ პირველადი დოკუმენტი გააგზავნეს, ეს ჩვენ რაში გვაინტერესებს. გამოაქვეყნონ, რაც გააგზავნეს. მე გავაგზავნე ის, რაც გავიდა რუსთავი 2-ზე. შევიტანთ საჩივარს და დადგინდეს, ჩვენ რა გავაგზავნეთ და მაგათ – რა. ჩვენ ხომ სასამართლოში მივდივართ და ყველაფერი წარმოადგინონ სასამართლოში.

– შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოება თუ რა ხდება?

– რა თქმა უნდა. მე რომ ჩავატარე ბრიფინგი, სულ მეკითხებოდნენ, რატომ ორიგინალი არ გამოითხოვეო. რატომ უნდა გამომეთხოვა, რაც გავიდა ტელევიზიით, მეც ის გავაგზავნე. სწორედ ტელევიზიაში გასულ ჩანაწერზე ვდავობთ.

– და რას აპირებთ?

– ჩვენ მივდივართ სასამართლოში. ჩვენ რაღაცები დაგვაბრალეს და ეს უნდა გავარკვიოთ სასამართლოში. ჩვენ გავაგზავნეთ სამი ფაილი და სამივე აღმოჩნდა დამონტაჟებული, არაავთენტური. შესაძლოა, მათ სულ სხვა რამ გააგზავნეს.

– თქვენ ედავებით იმაზე, რაც ეთერში გავიდა?

– რა თქმა უნდა, აბა ჩვენ რაში გვაინტერესებს ორიგინალი?! ჩვენ ამ ჩანაწერზე საჩივარი შეგვაქვს სასამართლოში და იქ გაირკვევა ყველაფერი. ექსპერტიზა ჩავატარეთ დიდ ოთხეულში. ყველაფერი დეტალურადაა დასკვნაში, სად მოიჭრა, სად მიება და ასე შემდეგ. თქვან კონკრეტულად, რაზე ჩაატარეს ექსპერტიზა და ჩვენ გავცემთ შესაბამის პასუხს.

– როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? საიდან მოდის ამდენი ფარული ჩანაწერი?

– მე ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენთან პროკურორები კანონიერ ქურდებად იქცნენ და ადამიანებს ქონებას ართმევდნენ. ადამიანები რატომღაც ერთსა და იმავე პროკურორთან თავიანთი სურვილით მიდიოდნენ და ქონებას ჩუქნიდნენ.

ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც ვითხოვდი, რომ ეს პროკურორები უნდა დაეკავებინათ. რადგან არ დააკავეს, შემდეგ ვთქვი, რომ ივანიშვილმა ეს ხალხი იმიტომ არ დააკავა, რომ, საგარაუდოდ, იმაში გამოიყენებს, რაშიც სააკაშვილის რეჟიმი იყენებდა.

– გამოიყენა?

– რაც მე ვთქვი, ხომ ყველაფერი ახდა?! სუბელიანი პროკურორი იყო. მან უკანონოდ დააკავა ადვოკატი მადონა მირზიანი. ამაზეც არაერთხელ მისაუბრია. მე ვითხოვდი ამ ადამიანის პასუხისგებაში მიცემას. რადგან არ მისცეს, ვთქვი, რომ ამ ადამიანს იმავეს გააკეთებინებენ.

მე რასაც ვამბობდი, ყველაფერი ის მოხდა. საერთოდ არაფერი არ შეიცვალა. პირიქით, უფრო მძიმე უბედურებები მოხდა, ფაშისტური რეჟიმის დაფარვა დაიწყო ივანიშვილის ფეოდალურმა ხელისუფლებამ.

– ყველგან ძველი კადრები დარჩნენ?

– დარჩნენ ძველი კადრები და ივანიშვილს მოუნდა, იგივე გაეგრძელებინა, რასაც წინა რეჟიმი აკეთებდა. ძალიან მიხარია, რასაც სუბელიანი აკეთებს ახლა, იმიტომ, რომ 5 წელია ვყვირივარ, რომ ამ ძველმა კადრებმა სხვანაირად მუშაობა არ იციან და იგივე სიბინძურეები გრძელდება-მეთქი. ასეც მოხდა. ის, რაც დღეს ხდება, არის ამის ნათელი დასტური. ამას გადაჰყვება ივანიშვილი.

– ანუ სუბელიანის ჩანაწერები ნიღაბს ჩამოხსნის ხელისუფლების საქმიანობას?

– აუცილებლად ჩამოხსნის. ეს პროცესი დაწყებულია და ვეღარაფერი შეაჩერებს.

– ანუ სუბელიანი ასრულებდა ბინძურ საქმეებს და თან ამ ყველაფრის კომპრომატებს ინახავდა?

– რა თქმა უნდა. ბევრნი არიან სუბელიანები. ძალიან ბევრი ასრულებდა ამათ ბინძურ დავალებებს და მერე კომპრომატებს ინახავდა, რადგან ამ კომპრომატებს გამოიყენებდნენ მაშინ, როდესაც მათ სახელმწიფო გაწირავდა.

აქ ათობით სუბელიანი იქნება, რომელთაც ცუდ რაღაცებს ავალებდნენ. აი, ნახავთ, გამოვლენ ეს ადამიანები და იტყვიან, ვინ რა დაავალა. მთავარი უბედურება ამ ქვეყანაში იყო პროკურატურა და პროკურატურა არ გაწმინდეს. პროკურორად დანიშნეს შოთაძე, რომელიც ხალხს აკულაკებდა, როცა იყო ფინანსურ პოლიციაში. ასევე ფინანსურ პოლიციაში იყო ბადაშვილიც. როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, 20 ათას კაცს შეატანინეს განცხადება პროკურატურაში, ქონებას დაგიბრუნებთო, ივანიშვილის რეჟიმმა კი რა გააკეთა!

– რა გააკეთა?

– ეს მათი განცხადებები დააწერეს იმ პროკურორებს, რომლებსაც ეს ხალხი უჩიოდა. ხალხი რომ მიდიოდა პროკურატურაში, იმავე პროკურორებს ხედავდა, რომლებიც დაიჭირეს, რომლებმაც ქონება წაართვეს და ეს პროკურორები მერე საჩივარს ურჩევდნენ, შენ შეგქონდა ჩემ წინააღმდეგ სარჩელიო.

„ოცნებამ“ რაც დათესა, ის მოიმკო. ამას ვამბობდი მთელი 5 წელი, რომ ეს მოხდებოდა. ახლა იჯდეს ივანიშვილი და იმ ხალხის სახელები და გვარები გაიხსენოს, რომლებსაც ამას აკეთებინებდა.

– ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ ამ ჩანაწერებზე, რომ ეს ყველაფერი დადგმული სპექტაკლებია. რას იტყვით თქვენ?

– მე არა მგონია, რომ ეს დადგმული იყოს. ან რანაირად არის დადგმული? ჯაფარიძე რომ გამოვიდა, დაადასტურა ეს ყველაფერი, ეს კაცი სრულ ჭკუაზე არ იყო და იმიტომ თქვა ეგეთი რამეებიო. ჯაფარიძეს რომც არ დაედასტურებინა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს საუბარი რეალურად იყო, რადგან ეს ადამიანი ბევრ რამეში გამოიყენეს.

– როგორ მოხდა დაკეტილ საკანში ფარული ჩანაწერის გაკეთება?

– სუბელიანი მაგათი ხელმძღვანელი ხომ იყო? ჰოდა, როგორც ჩანს, აქვს ის კავშირები, რომ ეს გააკეთოს. არც ის არის გამორიცხული, სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენს ჩაეწერა და მიეწოდებინა რუსთავი 2-თვის. არ არის გამორიცხული, რომ სუბელიანი რადგან უკმაყოფილოა ამ სიტუაციით, აშანტაჟებს ხელისუფლებას. ხელისუფლება რომ ამას არ გამოიძიებს, ესეც ფაქტია.

– რას ელოდებით, მძიმე არჩევნები გველოდება?

– რა გითხრათ, ფაქტია, რომ ორი ყველაზე ბინძური რეჟიმი, სააკაშვილის რეჟიმი და ივანიშვილის რეჟიმი, ერთმანეთს ექიშპება, არა, მე უნდა ვიყო, არა მეო. ქართველი ხალხი უყურებს და ფიქრობს, მკვდარსა და გულწასულს შორის რა არჩევანი გააკეთოს. აი, ამ უბედურებაში ჩაგვაგდო ივანიშვილის რეჟიმმა.

– ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს ოპოზიციის ნაწილი, რამდენად არის ეს გამოსავალი?

– ყველაზე დიდი უბედურება არის არაფორმალური მმართველობა ამ ქვეყანაში და პირადი მცველებისა და პირადი ექიმების დანიშვნა თანამდებობებზე. ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს. ყველგან ძირეული რეფორმა უნდა მოხდეს.

მურუსიძე და ჩინჩალაძე მოსამართლეები იყვნენ სააკაშვილის რეჟიმის დროს და ახლაც არიან. ერთს გეტყვით, ივანიშვილის რეჟიმს გაასამართლებენ ლევან მურუსიძე და მიხეილ ჩინჩალაძე.

მარიამ გოგოსაშვილი: „ბესელიას იდეა გამოხატვის თავისუფლების პირდაპირი შეზღუდვაა“

საიას იურისტი ამბობს, რომ ბესელიას იდეის განხორციელება საგამოძიებო ჟურნალისტიკის აკრძალვას ნიშნავს

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ ჩანაწერების გავრცელების უფლება უნდა შეიზღუდოს. მისი თქმით, ჩანაწერების გასაჯაროების უფლება მხოლოდ საგამოძიებო უწყებას აქვს, რომელმაც იცის, კანონიერად არის მოპოვებული თუ არა ჩანაწერი და რისკებსაც საკუთარ თავზე იღებს.

„კანონის გადაბიჯება უნდა დასრულდეს, რომელიც გულისხმობს ასეთი ჩანაწერების გაშვების აკრძალვას, როდესაც ის არ არის კანონიერად მოპოვებული. ეს ეხება მედიასაც. ეს არ მოეწონა თქვენს რამდენიმე კოლეგასაც. დაიღალნენ ადამიანები, თქვენც, მეც.

როდესაც ყოველდღე გვესაუბრებოდნენ ასეთი ჩანაწერებით, ძილისპირულივით გვესმოდა. მაშინაც სულ ვსვამდი ამ კითხვას, რომ არსებობს ასეთი ჩანაწერების ჩვენების კანონიერი სარჩული, როდესაც მედია ამ ჩანაწერების დემონსტრირებას და საჯაროობას იწყებს?!

დღესაც ეს განცდა მაქვს. ერთადერთი ლეგიტიმაცია, რომელმაც შეიძლება ასეთი ჩანაწერი გაასაჯაროვოს, ეს არის გამოძიება“ – განაცხადა ეკა ბესელიამ „ტვ პირველის“ ეთერში, გადაცემაში „პოლიტმეტრი“.

დეპუტატის ეს იდეა ზღუდავს თუ არა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და რას ამბობს კანონი? – ამ თემაზე „ახალი თაობა“ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტს, მედიასამართლის სპეციალისტ მარიამ გოგოსაშვილს ესაუბრა.

– მარიამ, დეპუტატი ეკა ბესელია მედიისთვის ჩანაწერების გაშვების აკრძალვას ითხოვს. არის თუ არა ეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა?

– დღეს საქართველოს კანონმდებლობაში მსგავსი აკრძალვა არ გვხვდება. მედიას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება და არ უნდა დაეკისროს ფარული ჩანაწერების გავრცელებისთვის. რადგან არ აქვს მნიშვნელობა, ანონიმურმა წყარომ მიაწოდა თუ ვინ. როგორ მოიპოვა წყარომ, კანონიერად თუ უკანონოდ. ფაქტი უნდა შეფასდეს, რამდენად აქვს მნიშვნელობა ამ ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისთვის, ეს უფრო მნიშვნელოვანია თუ ამ კანონის ჩანაწერებში არსებული ფაქტები.

ჩვენი კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ სრულად უზრუნველყოფს მსგავსი სახის ინფორმაციის გავრცელებას, რადგანაც საზოგადოების მაღალი ინტერესი არსებობს.

საუბარი იმაზე, რომ ამ ფორმით ავკრძალავთ და ვიტყვით, რომ არ შეიძლება მედიამ მსგავსი ინფორმაცია გაავრცელოს, ეს არის გამოხატვის თავისუფლების პირდაპირი შეზღუდვა.

– დეპუტატი ბესელია ამბობს, რომ გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და მას არგუმენ-

ტად მოაქვს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლი. რას ამბობს ეს მუხლი?

– აღნიშნული მუხლი არსებობს მას შემდეგ, რაც მიიღეს სისხლის სამართლის კოდექსი. ეს ხდება 1999 წლიდან. არსებობს ჩანაწერი კერძო კომუნიკაციის დარღვევის წესთან დაკავშირებით. ის ამბობს, რომ მსგავსი ჩანაწერი არის უკანონობა.

შემდგომში მოხდა ამის დაზუსტება, განვრცობა. თუმცა, 1999 წლიდან დღემდე მედიის მიმართ მსგავსი ინფორმაციის გავრცელებისთვის არ მომხდარა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება. ვერც მოხდებოდა, რადგან ეს მუხლი თავისი არსით არ მოიცავს მედიის მიერ ინფორმაციის გავრცელებაზე უშუალო შეხებას. ეს ეხება იმ პირებს, ვინც ახორციელებენ უკანონო საშუალებებით ჩაწერას და შემდეგ მის გავრცელებას. ამ შემთხვევაში მედია არაფერ შუაში არ არის.

– ჯერჯერობით ბესელიამ მხოლოდ იდეა გააჟღერა, თუმცა ის არის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ამიტომ ეს სახიფათო გზავნილია. თუ მოხდება ინიცირება ამ პროექტის, რა პოზიცია გექნებათ?

– ასეთი ფორმით ინფორმაციის აკრძალვა პირდაპირ არის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შეზღუდვა შესაძლებელია, მაგრამ ამას უნდა ჰქონდეს თავისი საზღვრები.

თუ ვამბობთ იმას, რომ მედიამ არ უნდა გაავრცელოს ფარული ჩანაწერები, დაიწყოს კვლევა, ეს ჩანაწერი კანონიერია, უკანონო და ა.შ. გამოდის, რომ საერთოდ აღარ გვექნება საგამოძიებო ჟურნალისტიკა, სადაც ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, სწორედ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ერთი დოლარი სამი ლარი გახდება“

ზაალ კასრელიშვილი: „დასავლეთმა სააკაშვილს მხარდაჭერაზე უარი უთხრა“

შორენა მარსაგიშვილი

რა განაჩენი გამოუტანეს ყოფილ ხელისუფლებას დასავლეთში, რატომ უფასურდება ლარი, რატომ აღარ დაიჭერენ ქართველი პოლიტიკოსები რუსებთან საქმეს, რატომ მოიყარა „ოცნებაში“ საეჭვო ხალხმა თავი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

– არჩევნებამდე ერთი კვირაა დარჩენილი და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ წინ ცხელი არჩევნები გველოდება. ბევრს საუბრობენ აქციებსა და არეულობაზე. თქვენ რას გვეტყვით?

– წინასაარჩევნო კამპანია არის ძალიან სამარცხვინო. დაპირისპირება ყოველგვარ ზღვარს არის გადასული. პოლიტიკაში ბევრი რამე მოსულა, მაგრამ ყველაფრის კადრება არც აქ შეიძლება.

– უკადრებელი რა იკადრეს, ყველა არჩევნების წინ ასე არ არის?

– ყველაფერი ისევე ისე მიდის, მაგრამ ამას ახლა კომპრომატები და ფარული ჩანაწერები დაემატა. ადამიანებს ქუჩაში რომ ველაპარაკები, ხელებში ვუყურებ უკვე, ჩვენს საუბარსაც ხომ არ იწერენ. მკაცრი მამის და მკაცრი პაპის გარემოცვაში გავიზარდე და ვიცი, ადამიანი საიდუმლოს რომ გაგანდობს, ეს საიდუმლო სამარეში უნდა წაიღო. თუნდაც ეს ადამიანი შემდეგ მტრად გადაგეკიდოს.

ეს რა უბედურება გვჭირს ამ ქართველებს, ნუთუ გაჭირვებამ ყველას ნიღაბი ჩამოხსნა. გასული საუკუნის 80-იან წლებში ყველა კაცობაზე დებდა თავს და ღირსებაზე ლაპარაკობდა. ეტყობა, დუხჭირი ცხოვრება რომ დადგა, ყველამ საკუთარი უნარ-ჩვევები გამოამჟღავნა.

ქართველების ქმედებებით ვარ გაკვირვებული, სხვა მხრივ, რაც დღეს ხდება, ჩვეულებრივი წინასაარჩევნო ისტერიაა. დასრულდება არჩევნები და აღარავის აღარ გაახსენდება ის თემები, რაზეც ახლა ცხარედ გაჰკივიან. დამარცხებულები ამბობენ, საქმის გაკეთება მოსთხოვეთ გამარჯვებულებს. გამარჯვებულები კი, თავის მხრივ, ამბობენ, ჩვენ საქმეს ვაკეთებთ, მაგრამ ხელს გვიშლის დამარცხებული. ამ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ დიდი ხანია.

უბედურების მიზეზები ადამიანმა ხშირად საკუთარ თავში უნდა ეძებოს. ჩვენი ერის უბედურება ისაა, რომ მიზანი და სურვილები აგვერია ერთმანეთში და დღემდე კარგის და ცუდის გარჩევა ვერ ვისწავლეთ. ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი ისაა, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისას ყველანი სუბიექტურები ვართ.

ნაციონალურ მოძრაობას რატომღაც ჰგონია, რომ დღევანდელი ხელისუფლების ალტერნატივაა. რატომ ჰგონიათ, რომ ასე იქნება, ვერ გეტყვით.

– თქვენ რატომ გგონიათ, რომ ნაციონალური მოძრაობა ამ ხელისუფლების ალტერნატივა ვერ იქნება?

– კი არ მგონია, ამაში დარწმუნებული ვარ. ნაციონალებმა ეს არჩევნები თუ მოიგეს, ხალხი ქუჩაში გამოვა და 2012 წელი განმეორდება.

ხელისუფლებაზეც მინდა გითხრათ რამდენიმე სიტყვა, მათაც ბევრი შეცდომა დაუშვეს. იყო გადაცდომებიც. ხალხიც უკმაყოფილოა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკმაყოფილო ამომრჩეველი ნაციონალებს დაუჭერს მხარს. უბრალოდ, ეს არის პოლიტტექნოლოგია. ნაცმოძრაობა გამაგრდა ოპოზიციურ ფლანგზე და იქიდან გველაპარაკება.

– ოპოზიციურ ფლანგზე შემთხვევით ივანი შვილის დახმარებით ხომ არ გამაგრდნენ? ამ უკანასკნელმა გაკრიფა თავის დროზე შუა.

– ამ თემაზე არასდროს მისაუბრია და ახლა გეტყვით. ჩვენი დასავლელი მეგობრების თქმით, 2012 წელს ევროპა და ამერიკა თვლიდა რომ საქართველოს განვითარებას ნაციონალური მოძრაობა უშლიდა ხელს. საქართველოს განვითარებას ასევე უშლიდა ხელს მარადმწვანე ოპოზიცია, რომელიც ყველას და ყველაფერს აკრიტიკებს, მაგრამ თავად არაფრის გამკეთებელი არ არის.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მერე ნაციონალებმა უმრავლესობა დაკარგეს, მაგრამ საუბედუროდ დარჩა მარადმწვანე ოპოზიცია. მისი ერთი ნაწილი „ოცნებას“ შეერია, მეორე ნაწილი გაიბნა ყოფილ ხელისუფლებაში.

წლების მანძილზე მოხდა ყველას ლუსტრაცია, როგორც პიროვნებების, ასე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების.

ამას მოჰყვა კოჰაბიტაცია. ის ჩვენმა დასავლელმა მეგობრებმა შემოგვთავაზეს. მათ უნდოდათ, რომ საქართველო წარმოჩენილიყო, როგორც ცივილური და დემოკრატიის თვალსაზრისით პროგრესულად მზარდი ქვეყანა. დასავლეთს უნდოდა, რომ საქართველოში დასრულებულიყო შურისძიება. ამ თვალსაზრისით კოჰაბიტაცია აუცილებელიც კი იყო.

– კოჰაბიტაცია დამნაშავეების დასჯას ხომ არ კრძალავს?

– რა თქმა უნდა, არ კრძალავს.

– აბა, რატომ არ მოხდა დამნაშავეების დასჯა?

– ვერ გეტყვით. მოხდა ისე, რომ ნაციონალების შემსრულებლები მოხვდნენ „ოცნების“ მმართველობაში.

– საზოგადოებას სწორედ ამაზე აქვს პრეტენზიები. რანაირად მოხვდა ეს ხალხი „ოცნებაში“?

– ჩვენი ინფორმაციით, ნაციონალების შემსრულებლებს „ოცნების“ წევრებზე ჰქონდათ კომპრომატები და მათი წყალობით მობრუნდნენ ისინი ხელისუფლებაში. ამის გარდა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ნაციონალებმა დაიკავეს ოპოზიციური ნიშა და იქ დღემდე არავის არ უშვებენ.

ძალიან ბევრი კარგი თემა, რომელიც ოპოზიციისთვის იყო განკუთვნილი და რომლითაც ნებისმიერ პარტიას შეეძლო ხელისუფლებისთვის ზიანი მიეყენებინა, აიტაცა ნაცმოძრაობამ და თემა მოკლა.

– მაგიტომაც ხომ არ უზის ივანი შვილს ნაციონალები ოპოზიციად?

– ივანი შვილი აქ არაფერ შუაშია. მართალია ოპოზიციური ნიშა მყარად უკავიათ, ყველაზე აქვთ კომპრომატები, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა არის დამთავრებული. მიხეილ სააკაშვილი, როდესაც საქართველოს სათავეში მოვიდა, წარმოადგენდა კორპორაციულ ინტერესს. ახლა ეს კორპორაცია დაშლილია და სააკაშვილს არავინ აღარ დააბრუნებს. სააკაშვილი საჭირო რომ ყოფილიყო, მას უკრაინიდან არ გააბუნძურებდნენ.

ახლავე გეტყვით, რომ მისი პარტია არჩევნებს წააგებს, მაგრამ არეულობის მოწყობას შეეცდებიან, მაგრამ არც არეულობით გაუვათ რამე.

– რატომ არ გამოუვათ?

– იმიტომ, რომ დასავლეთი მათ მხარს აღარ უჭერს.

– რაში გამოიხატება, რომ დასავლეთი მათ მხარს არ უჭერს?

– ძალიან მალე საქართველოში მნიშვნელოვანი პროექტების დასაფინანსებლად სერიოზული ინვესტიციები შემოვა. ეს იქნება ნათელი დადასტურება იმისა, რომ ევროპა და ამერიკა ნაცმოძრაობაზე ფსონს აღარ დებენ.

– ამ ინვესტიციების შემოსვლა იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი „ოცნებას“ უჭერს მხარს?

– მის მიმართ ნდობა აქვს, სხვა შემთხვევაში ასეთ სერიოზულ ინვესტიციებს არ ჩადებდა საქართველოში.

– დასავლური ინვესტიცია კარგია, მაგრამ ევრაზიულ ეკონომიკურ ფორუმზე რას გვეტყვით, რომელიც საქართველოში უნდა გაიმართოს. შემთხვევით ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ „ოცნებას“ რუსეთიც მხარს უჭერს?

– უშუალოდ ამ ფორუმის შესახებ არაფერი არ ვიცი, მაგრამ რუსების მიერ დაფინანსებული ფორუმები აქ არ უნდა ტარდებოდეს.

– არ უნდა ტარდებოდეს, მაგრამ ტარდება.

– არ ჩატარებულა, მცდელობა ჰქონდათ, მაგრამ ჩაუვარდათ. ევრაზიული კავშირის ფორუმიც ასევე ჩავარდება და მისი ორგანიზატორები სასაცილოები გახდებიან.

– ჩვენ არ ვართ სასაცილოები, ოკუპანტ ქვეყანას აქ ფორუმებს რომ ვატარებინებთ?

– სამწუხაროა, რომ ასეთი რამეები ხდება. ამაში დამნაშავეა როგორც პოზიცია, ასევე ოპოზიცია. ისინი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებს ამ ქვეყანაში თავისუფლად მოქმედების უფლებას აძლევენ. მერამდენედ უნდა გავიმეორო თქვენი გაზეთის საშუალებით, რომ სასწრაფო წესით მისაღებია კანონი ლუსტრაციის შესახებ.

მართალია, აქ თავისუფლად დათარეშობენ რუსეთის სპეცსამსახურები, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ შეცვლის. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ახლა ისეა დაპირისპირებული დანარჩენ მსოფლიოსთან, მაგარი სულელი უნდა იყოს ის ქართველი, ვინც მაგათთან საქმეს დაიჭერს.

– ქართველებისთვის სულელური გადაწყვეტილება უცხო არ არის.

– სამწუხაროდ, გვახასიათებს ჩვენ პოლარული აზროვნება. არც კარგის და ცუდის გარჩევა ვიცით. ამის გარდა, ხშირად შურისძიებაც გვამოძრავებს.

– სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა ვიღაცისთვის შეიძლება შურისძიება იყოს, მაგრამ ეგ ეგრე არ არის.

– რა თქმა უნდა, ეგ ეგრე არ არის. დამნაშავის ადგილი არის საპატიმროში. ვინც დაა შავა, მან პასუხი აგო.

– აბა, რატომ არ დასაჯა სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსულმა „ოცნებამ“ ნაციონალები. კოჰაბიტაცია დამნაშავისთვის ხელის დაფარებას არ ნიშნავს.

– არ დასაჯეს და იმკიან კიდევაც ამის შედეგს. არჩევნების შემდეგ, ეს ვითარება აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

– ნაციონალები ამბობენ, რომ ყველაფერს შეცვლიან.

– ეგენი ბევრ რამეს ამბობენ, მაგრამ მაგათი დაბრუნება გამორიცხულია. მერამდენედ უნდა ვთქვა, რომ მსოფლიოში პროცესები ჩვენს სასარგებლოდ მიდის. ბოლო წლებში საქართველოს ფასი ძალიან გაიზარდა. ამიტომაც არის, რომ მსოფლიო პოლიტიკის არქიტექტორები ჩვენს ცანცარს და ტინგიცობას იტანენ.

– ცანცარი ახსენეთ და თქვენი აზრი მაინტერესებს ერთ საკითხზე, იმის ძახილი, რომ 2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო, ეს ცანცარია თუ ღალატი?

– ომის დაწყებაში საქართველოს დადანაშაულება როგორ შეიძლება. ეს ომი დაიწყო რუსეთმა. მოსკოვი ომის დასაწყებად ჯერ კიდევ ივლისში იყო მზად. მათ ომამდე სამი კვირით ადრე შემოიყვანეს ცხინვალში სამხედრო ტექნიკა. სააკაშვილის მიმართ მაშინაც და ახლაც ეს პრეტენზია მაქვს, რატომ გაიქცნენ ისინი ბრძოლის ველიდან.

როდესაც წლების წინ სააკაშვილს ეს პრეტენზია წავუყენეთ, ჩემი და ჩემი თანამოაზრეების დევნა დაიწყო. ძალიან აქტიურად გვდევნიდა ის ხალხი, ვინც დღეს ხელისუფლებაშია.

ზემოთ გესაუბრეთ იმაზე, რომ ოპოზიცია თემებს ვერ იყენებს და ეს თემაც კი ვერ აწიეს მათ.

– კარგი, ოპოზიცია უნიათოა, მაგრამ ხელისუფლება რატომ ჩაბჟირდა იმის მტკიცებით, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ?

– ომი ჩვენ როგორ დავიწყეთ, ფაქტები მაქვს, რომ რუსებმა დაიწყეს. ვინც საქართველოს ომის დაწყებაში ადანაშაულებს, ის ან გამწარებული და გაბოროტებულია ქვეყანაზე, ან უცხო ქვეყნის დავალებას ასრულებს.

– ეს ხელისუფლებასაც ეხება?

– პოზიციასაც და ოპოზიციასაც. ყველა არის მოღალატე, ვინც იტყვის, რომ ომი საქართველომ დაიწყო. ნაციონალები ძალიან ცდილობენ ამ თემის გამოყენებას, მაგრამ არაფერი გამოსდით.

– ყოფილ ხელისუფლებაზე საუბრისას არ გიხსენებიათ „ევროპული საქართველო“. მათ არ აკისრებთ პასუხისმგებლობას იმ 9 წელზე?

– როგორ არ ვაკისრებ. როცა ნაციონალებს ვახსენებ, ყველა მათ განშტოებას ვგულისხმობ, მათ შორის „ევროპულ საქართველოს“.

– „ევროპულ საქართველოზე“ ამბობენ, რომ ივანი შვილის პარტიაა.

– ამას არ დავიჯერებ. ისევე, როგორც არც იმის მჯერა, რომ აწყობს ოპოზიციაში ნაცმოძრაობის ყოფნა.

– რატომ ვერ დაიჯერებთ?

– ამ ადამიანს იმხელა ფინანსური რესურსები აქვს, რომ ოპოზიციასაც ნორმალურს შექმნიდა და სატელიტურ პარტიასაც.

– ფინანსები მართლა ბევრი აქვს, მაგრამ რაღაც კარგ პარტიას ვერ ქმნის. ამის ნათელი მაგალითი „ქართული ოცნებაა“. არ არის ეს პარტია სამარცხვინო?

– სამარცხვინოს ვერ ვიტყვი, მაგრამ ბევრი მიუღებელი პერსონაა ამ პარტიაში. მალე ესეც მოგვარდება. დასავლეთი რომ სერიოზულ ინვესტიციებს შემოიტანს საქართველოში, მერე ბევრი რამე შეიცვლება.

– მაინც რა შეიცვლება?

– ყველაფერი შეიცვლება.

– ლარს ე შველება რამე?

– ყველაფერს ეშველება. მე ჯერ კიდევ ორი წლის წინ გითხარით, რომ ლარის კურსი დოლართან მიმართებაში ერთი სამზე ავიდოდა. ყველაფერი აქეთ მიდის. არ ვიცი ეს რატომ ხდება, მაგრამ ვიცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

– ვითომ?

– გეუბნებით, რომ კარგად იქნება. საქართველო დღეს დასავლეთის ინტერესის ცენტრშია. ბოლო დროს კავკასიაში განვითარებულმა მოვლენებმა ჩვენი ფასი კიდევ უფრო გაზარდა.

კრემლი თუ აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიერთებას გაბედავს, ჩრდილოეთ კავკასია აუფეთქდება.

– აფეთქებაში რას გულისხმობთ?

– ინგუშეთში მიმდინარე აქციებზე უკვე გაჟღერდა, რომ მათ საქართველოს შემადგენლობაში შემოსვლა სურთ. იგივე მოთხოვნა აქვთ ჩეჩნებს და დაღესტნელებს. მათ საქართველოსთან დაკავშირებით განცხადებები ბევრად ადრე გააკეთეს.

– როდის ადრე?

– 1919 წლიდან მოყოლებული ვიდრე დღემდე.

– ვთქვათ, რუსეთი ისე დაიქცა, რომ არაფრის თავი არა აქვს, რამდენად წარმოგიდგენიათ დაღესტნელებთან ერთად ერთ სახელმწიფოში ცხოვრება?

– ძალიან კარგად წარმომიდგენია. დაღესტნელები არიან ჩვენი ძმები და მათთან საერთოს გამონახვა არ გაჭირდება.

ამერიკელებმა ჩაატარეს დნმ-ის კვლევა და დადგენილია, რომ დაღესტნელებს, ჩეჩნებს და ინგუშებს ჩვენი სისხლი აქვთ.

თბილისში მშენებლობაზე გაცემული ნებართვები შემცირდა



2018 წლის 9 თვეში დედაქალაქში მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა შემცირდა.

თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის იანვარ-სექტემბერში 1.282 სამშენებლო ნებართვა გაიცა, 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში კი 1.338. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს გაცემული ახალი ნებართვიდან 74% ინდივიდუალურ (კერძო) სახლების მშენებლობაზე გაიცა.

რაც შეეხება ბოლო წლების სრულ მონაცემებს, ასე გამოიყურება: თბილისში 2015 წელს ყველა კლასის და ფუნქციის ახალ მშენებლობაზე 1.664 ნებართვა გასცა; 2016 წელს – 1.731 ნებართვა; 2017 წელს – 1.755 ნებართვა.

რაც შეეხება კონკრეტულად ინდივიდუალურ და მრავალბინიან შენობებს, არქიტექტურის სამსახურის სტატისტიკის მიხედვით გაცემულ ნებართვებში ინდივიდუალურ საცხოვრებელი სახლების წილი ბევრად აღემატება მრავალბინიანი შენობების რაოდენობას და თანაც, ეს წლების განმავლობაში უკვე მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს. 2015 წელს მერიის არქიტექტურის სამსახურმა ახალი ინდივიდუალური სახლის მშენებლობაზე 1.017 ნებართვა გასცა, მრავალბინიანზე – 215; 2016 წელს ინდივიდუალურ სახლებზე გაიცა 1.077 ნებართვა, კორპუსებზე – 237; 2017 წელს ინდივიდუალურ სახლზე გაიცა 1.183 ნებართვა, მრავალბინიანზე – 197.

რაც შეეხება 2018 წლის იანვარ-სექტემბერს, წელს მერიის არქიტექტურის სამსახურმა ახალი ინდივიდუალური სახლის მშენებლობაზე გასცა 952 ნებართვა, მრავალბინიანზე კი მხოლოდ 90. შარშან ანალოგიურ პერიოდში კი კორპუსების მშენებლობაზე 137 ნებართვა გაიცა, კერძო სახლებზე კი – 910 ნებართვა.

BPN

„ოცნება“ ზურაბიშვილის პირველივე ტურში გასაყვანად ყველაფერს გააკეთებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

სოსო ცინცაძე: „ხელისუფლების არაპოპულარული კანდიდატი დილიდან საღამომდე იმას ტირის, თუ რატომ არ უყვარს ამომრჩეველს“

– ბატონო სოსო, შინაგან საქმეთა მინისტრმა გახარიამ განაცხადა, დეტალურად ვიცით, რა იგეგმებოდა და იგეგმება დესტაბილიზაციის მოსაწყობადო. უმრავლესობის წევრმა მათიკა შვილმა ნაციონალური მოძრაობის ხელწერაზე ისაუბრა. როგორ ფიქრობთ, მათი მიზანი შეიძლება მართლაც მოვლენების რევოლუციური განვითარება იყოს?

– არავითარი რევოლუციური სცენარი, არავითარი სახელმწიფო გადატრიალება, არავითარი ბომბების სარდაფებში დამზადება და გადამალვა არ ხდება. ეს გამორიცხულია, რადგან დღეს ამის პოტენციალი ნაციონალურ მოძრაობას კი არა, არავის გააჩნია. ეს ყველაფერი არის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც.

ხელისუფლება ვარაუდობს, რომ მათი კანდიდატის გასვლას სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვება, საპროტესტო გამოსვლები და ამიტომაც იზღვევს თავს. ნაციონალური მოძრაობა კი თადარიგს იჭერს და აფრთხილებს „ქართულ ოცნებას“, რომ ისინი საკუთარ ხმებს დაიცავენ.

საპროტესტო აქციები შეიძლება შემდეგ დესტაბილიზაციად ჩაითვალოს, მაგრამ ნებისმიერ ქვეყანაში უსამართლო არჩევნებს პროტესტი მოჰყვება ხოლმე. ეს უცხო არავისთვის არის.

– საპროტესტო აქციებს არ გამორიცხავთ?

– მე არ მგონია, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ შეძლოს კრიტიკული მასის ქუჩაში გამოყვანა. ნაციონალურ მოძრაობას არ აქვს პოტენციალი, რომ 100.000 ადამიანი, რომელიც მართლაც შეიძლება იყოს გაბრაზებული, ქუჩაში გამოიყვანოს.

– მაშინ რატომ აკეთებენ ასეთ განცხადებას შინაგან საქმეთა მინისტრი, უმრავლესობის წევრები?

– მხოლოდ პრევენციისთვის. თითქოს აფრთხილებენ, რომ არჩევნების წაგებას გაბრაზება და ქუჩაში გამოსვლა არ უნდა მოჰყვეს, თორემ ეს მკაცრად დაისჯება. მე მაინც მგონია, რომ არავითარი დესტაბილიზაციის საფრთხე არ არსებობს. საპროტესტო აქცია სრულიად სხვა რაღაცაა და ეს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხდება.

– ბევრს ჭიკაიძის განცხადება საბურავებთან დაკავშირებით გაახსენდა. საქმე დღემდე გამოუძიებელია.

– დაახლოებით იგივე ხდება, მაგრამ ჭიკაიძე ბევრად უფრო შორს წავიდა მაშინ. კითხვა მაქვს გახარიასთან, იმ საბურავებს დღესაც ეძებენ?! მაშინ გვითხრეს, რომ სახელმწიფო გადატრიალება იგეგმებოდა. უმძიმესი ბრალდების საქმე დღესაც რომ გამოუძიებელია?! ამაზე ხომ უნდა გვითხრან რამე?!

მე არ გამოვრიცხავ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში ადამიანები ლოცულობდნენ, რომ ვინმე წონიანი ლიდერი დაიჭირონ, მაგრამ ამ ლოცვას ასრულება არ უწერია.

– ნიკა გვარამია ამის შესახებ ფეისბუკზე წერს, ვერ შემაშინებთ, დამაკავეთო.

– შეიძლება, ეს სურვილი არის, მაგრამ არც მას და არც სხვას არავის დააკავებენ. იმიტომ კი არა, რომ ხელისუფლება კეთილშობილი ჯენტლმენებით არის დაკომპლექტებული, არავის დააკავებენ, რადგან ხელისუფლებაშიც არის ჭკვიანი ხალხი და არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ოპოზიციის წევრებს არ იჭერენ.

არავინ ყურადღება არ მიაქცია ევროკავშირის ახალი ელჩის მკაცრ განცხადებას, მე ვიტყვი, ძალიან მკაცრ განცხადებას. ევროკავშირის ელჩმა გვითხრა, რომ არჩევნების მსვლელობას დიდი ყურადღებით დააკვირდებიან.

არჩევნებს რომ სერიოზულ მონიტორინგს გაუწევს ევროკავშირი, აქ ორი აზრი არ არის. ერთი, თუ რამე შეგვეშლება, უფრო სწორად, თუ ხელისუფლება მოინდომებს, რომ ამომრჩევლის ნების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს, ამას საქართველოს დასჯა მოჰყვება.

მაშინ ევროკავშირი პირდაპირ ცხვირწინ აგვიფრიალებს ამას და მეტის მიღების სურვილიც აქ დასრულდება.

ახალმა ელჩმა, ჰარცელმა, პირდაპირ გვითხრა, თქვენ ჯერ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მზად არ ხართო. ეს არადიპლომატიურად ნათქვამი მწარე სიმართლე შემდეგ შეიძლება სერიოზულ არგუმენტად იქცეს. ამიტომ ხელისუფლებამ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ არავის წაუცდეს ხელი ამომრჩევლის ნების საწინააღმდეგო შედეგების დაფიქსირებაზე.

– თითქოს ის წინა ელჩებზე უფრო მკაცრია.

– კი, უფრო მკაცრია და მე არ გამოვრიცხავ, რომ ამის მიზეზი არსებული ვითარებაა. ისინი ხედავენ, რომ სიტუაცია აშკარად შეიცვალა.

არც ერთ წინა არჩევნებში ხელისუფლებას არ ჰყოლია ასეთი არაპოპულარული კანდიდატი, რომელიც დილიდან საღამომდე იმას ტირის, თუ რატომ არ უყვარს ამომრჩეველს, ასე რატომ აკრიტიკებენ. ამ კითხვაზე პასუხი საკუთარ თავში უნდა ეძიოს.

– კიდევ შეიძლება რამეს ველოდეთ, რომელიც შეიძლება კულმინაციური აღმოჩნდეს თუ ამ ტალღამ უკვე გადაიარა?

– არ ვიცი, ვის რა ფარული ჩანაწერი აქვს გადამალული ბოლო ლუკმად, რომელიც შეიძლება ბომბივით გასკდეს, მაგრამ, რაც უკვე ვნახეთ და მოვისმინეთ, ეს ნამდვილად იყო კულმინაცია ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც. მეტი უკვე აღარ შეიძლება.

– შედეგებზე იმოქმედებს?

– არა, შედეგების ბედი უკვე გადაწყვეტილია. ხელისუფლებამ ყველა ღონე უკვე იხმარა თავისი კანდიდატის გამარჯვებისთვის.

– პირველივე ტურში?

– დიახ, პირველივე ტურში, რადგან მეორე ტურში უკვე გამორიცხულია. მეორე ტურში ვერავითარი გაყალბება ვეღარ უშველის, ამიტომ პირველ ტურში უნდა გავიდეს. ასეთია ხელისუფლების მიზანი და „ქართული ოცნების“ მიერ შიდა პარტიული კვლევის შედეგების პრეზენტაციაც ამის ნიშანი იყო.

პარკირების საათობრივი საფასური, შესაძლოა, 20 თეთრიდან დაიწყოს

პარკირების საათობრივი საფასური, შესაძლოა, 20 თეთრიდან დაიწყოს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ განუცხადა, თუმცა, არ გამორიცხა, რომ, შედეგის შესაბამისად, შესაძლოა, ფასი გაიზარდოს.

– ფასი შეიძლება 20 თეთრიდან იყოს, თუმცა შედეგზე ორიენტირებული იქნება. ჩვენ თუ კონკრეტულ ქუჩებზე იგივე შედეგი დაგვხვდა, სადაც ტრანსპორტი გავაუმჯობესეთ, ე.ი ფასი უნდა გაიზარდოს. ფასის ზრდა ან კლება დამოკიდებული იქნება შედეგზე. მცხოვრებლებისთვის იქნება ის ფასი, რომელიც ახლა არის შეთავაზებული – წელიწადში 50 ლარი და 6 თვეში 25 ლარი, მაგრამ ვიზიტორებისთვის გადასახადი გაცილებით მეტი იქნება. შესაძლებელია პარკირების საფასური ძველ თბილისსა და ვაკე-საბურთალოს რაიონში განსხვავებული, დიფერენცირებული იყოს, თუმცა, მაინც ვამბობ, რომ ეს უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული. კონკრეტულ საფასურს, რომელი იქნება ეფექტური, თვითონ ექსპერტებიც ვერ ამბობენ. ჩვენი მიზანი არ არის პარკირების საფასურიდან შემოსავალი მივიღოთ, სულ სხვა პრობლემა გვაქვს დედაქალაქში, – ამბობს მუმლაძე.

კითხვაზე: რა პრინციპით გადაიხდიან მძღოლები საათობრივი პარკირების საფასურს? მუმლაძე პასუხობს: მძღოლები პარკირების საფასურს როგორც სპეციალური აპლიკაციით, ასევე საბანკო ბარათით გადაიხდიან.

– იქნება სპეციალური აპლიკაცია, რომლითაც მძღოლები საათობრივი პარკირების საფასურის გადახდას შეძლებენ. ტელეფონის საშუალებით შეიძლება საათობრივი პარკირების დროის ათვლა და საფასურის დაანგარიშება და ანგარიშიდან ჩამოჭრა. ასევე დავთვალეთ ის ადგილები, სადაც საათობრივი პარკირება იქნება და ვნახეთ, რომ 200-მდე დამატებითი „ფეი ბოქსი“ იქნება საჭირო, რომ დაიდგას და ამის საშუალებით თანხას ჩავრიცხავთ. „ფეი ბოქსების“ განთავსებასთან დაკავშირებით კონკურსი გამოცხადდება. მანქანის გაჩერების ადგილიდან „ფეი ბოქსის“ აპარატამდე დაშორებები გვინდა მინიმალური იყოს. მაგალითად, მანქანას რომ გააჩერებს მძღოლი, მაქსიმუმი იყოს 25 მეტრი, რომ საფასური გადაიხადონ. ან ტელეფონში ექნება აპლიკაცია, რომ ერთი თითის დაჭერით მოახდინონ გადახდა, – აცხადებს მუმლაძე.

IPN

პაატა ბურჭულაძე: „ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ფონდ „იავნანას“ წინააღმდეგ მორიგი პროვოკაცია იგეგმება“

ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე აცხადებს, რომ ფონდის წინააღმდეგ მორიგი პროვოკაცია იგეგმება. ამის შესახებ მან პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, გარკვეული ჯგუფები კვლავ სპეკულირებენ ფონდის სახელით და იმ ოჯახებს სტუმრობენ, რომელთაც „იავნანა“ დაეხმარა.

პაატა ბურჭულაძე საქართველოს პროკურატურას მოუწოდებს, „შეწყვიტოს სამარცხვინო დევნა, გამოვიდეს, ბოდიში მოიხადოს და ხალხს უთხრას სიმართლე“.

– ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ფონდ „იავნანას“ წინააღმდეგ იგეგმება მორიგი პროვოკაცია. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან 25 ოქტომბერს ფონდი გეგმავს გრანდიოზულ, საქველმოქმედო გალაკონცერტს.

საქმე იმაშია, რომ გარკვეული ჯგუფები კვლავ სპეკულირებენ ფონდის სახელით, ჩადიან იმ ოჯახებთან, რომელთაც ფონდი დაეხმარა. მინდა, მივმართო „იავნანას“ ყველა ოჯახს, სტუდენტსა თუ ბავშვს, არ მოტყუვდეთ, არც ფონდი და არც მე თქვენთან ინტერვიუსთვის, ან რამე სხვა საკითხთან დაკავშირებით არავის არ ვაგზავნით. ეს ადამიანები ცრუობენ და არ არიან ფონდის წარმომადგენლები.

კიდევ ერთხელ მივმართავ საქართველოს პროკურატურას, შეწყვიტოს ეს სამარცხვინო დევნა, გამოვიდეს, ბოდიში მოიხადოს და ხალხს უთხრას სიმართლე. უთხრას, რომ ყველაფერი იყო სიცრუე და დადგმული სპექტაკლი, რომელმაც ყველაზე მეტად სწორედ ის ადამიანები დააზარალა, ვისაც ფონდი ეხმარებოდა. ერთი წელია, ფონდი ვეღარ აკეთებს თავის საქმეს და ერთი წელია, სოციალურად დაუცველი ოჯახები ვეღარ იღებენ იმ დახმარებას, რომელსაც ფონდი გასცემდა.

მე ასევე მივმართავ საქართველოს მთავრობას თხოვნის წერილით, დაეხმარეთ იმ ოჯახებს, რომლებსაც ძალიან უჭირთ, სანამ „იავნანა“ სრულფასოვნად დაიწყებდეს მუშაობას. ჩვენ საქართველოს პროკურატურასაც გადავეცით იმ ოჯახების სია, ვისთვისაც დახმარების გაწევა გვინდოდა და გიგზავნით თქვენც, საქართველოს მთავრობას, კერძოდ, ბატონ პრემიერ-მინისტრს. 25 ოქტომბრიდან ფონდი „იავნანა“ ჩაერთვება, ახალ სიცოცხლეს დაიწყებს და ამაში მას ხელს ვეღარავინ შეუშლის, – განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

ივა ჭყონია: „ყველაზე ცუდი რამე ხდება, თუკი შეიძლება მოხდეს და ეს ხდება ბოლო 3-4 წელია“

მსხვილი იმპორტიორები იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასების ზრდას ნოემბრის ბოლომდე არ აპირებენ. ამის შესახებ „კომერსანტთან“ „საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის“ ხელმძღვანელი ივა ჭყონია საუბრობს. მისი განცხადებით, ბოლო პერიოდში ლარის მკვეთრმა გაუფასურებამ დარგში საკმაოდ რთული ვითარება შექმნა. ჭყონიას განცხადებით, ამ დროისთვის იმპორტიორების მხრიდან ფასების „დაჭერა“ ხდება.

როგორც ჭყონია განმარტავს, დღეს საკმაოდ შემცირებულია მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა. ამიტომ ფასების ზრდა ამ ფაქტს კიდევ უფრო გააუარესებს. საბოლოო ჯამში კი ეს ყველაფერი სადისტრიბუციო კომპანიების გაყიდვებზე საკმაოდ მძაფრად აისახება.

– ყველაზე ცუდი რამე ხდება, თუკი შეიძლება მოხდეს და ეს ხდება ბოლო 3-4 წელია. ჩვენ გვაქვს დეჟავუ. ხალხი დანევროზდა ამისგან. სადისტრიბუციო კომპანიები მაქსიმალურად თავს ვიკავებთ იმისგან, რომ ფასები გავზარდოთ. მოგების მარჟა გვიმცირდება, სხვა გამოსავალი არ გვაქვს. პირველადი მოხმარების პროდუქცია ძალიან სენსიტიურია და, როგორც კი ხდება ვალუტის რყევა, მომენტალურად ხდება ფასების ცვლილება. გრძელვადიან პროდუქტზე ფასების შენარჩუნებას მაქსიმალურად ვცდილობთ. სანამ გავუძლებთ ასე ვიქნებით. სადისტრიბუციო კომპანიებს გვიწევს დამატებითი სახსრების მოზიდვა ბანკებიდან და მთელი წელი ვცდილობთ შემდეგ ამ ვალების გასტუმრებას. ხანდახან სადისტრიბუციოებს ზარალზეც გვიწევს მუშაობა და ზოგჯერ კომპანიის შენარჩუნებაზეც ვმუშაობთ, – აცხადებს ჭყონია.

მისი განცხადებით, ფასების ზრდა ისევ გაყიდვებზე ახდენს გავლენას. როგორც ჭყონია განმარტავს, თუ სერიოზული რყევა არ იქნა, ნოემბრის ბოლომდე ფასების ზრდა არ იგეგმება. მისივე შეფასებით, კრიტიკული ზღვარი 2.5-2.6-ს შორის არის და როდესაც ამას სცდება კურსი, სადისტრიბუციო კომპანიები უკვე ძალიან რთულ ვითარებაში ვარდებიან.

ვახტანგ ყოლბაია: „აფხაზეთი რუსეთის არასდროს შეუერთდება“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია „ახალ თაობას“ ჟენევის მოლაპარაკებების შესახებ ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, რა ვითარება იყო ჟენევის მოლაპარაკებებზე?

– რუსეთის მხარე ჟენევის მოლაპარაკებების წინ აკეთებს განცხადებებს, ძაბავს სიტუაციას, რათა შემდეგ ისეთი რამ შემოგვთავაზონ, რაც თითქოსდა შემრიგებლური დამოკიდებულების გამოხატულებაა და გამოსავლის ძიებას ემსახურება. ამიტომ დაძაბული სიტუაცია ჟენევაში შეხვედრაზეც იყო. ინციდენტების პრევენციის ჯგუფის შეხვედრები გალსა და ერგნეთში ჩაიშალა. ამიტომ მთავარი აქცენტი კეთდებოდა იმაზე, არიქა, ამ ჯგუფების შეხვედრები ჩაიშალა და ამით ქვეყანა იქცევაო.

ამ ჯგუფის საქმიანობა თავის დროზე სოხუმმა ჩაშალა და 4 წელია, არ უმუშავია. თუმცა, ამით ქვეყანა არ დაქცეულა – ცუდად თუ კარგად, ამ კომისიის ფარგლებში თანამშრომლობას ვახერხებდით საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

– აფხაზები და ოსები წუხდნენ, აღნიშნული კომისიები რომ აღარ მუშაობს? აღნიშნული კომისიების მუშაობის აღდგენა უნდათ?

– კომისიის აღდგენა თავისთავად არის იქ მიმდინარე პროცესებზე მონიტორინგისა და ყოველდღიური ოპერატიული რეაგირების საშუალება. ამ კომისიებს 4 წელია არ უმუშავია, მაგრამ თანამშრომლობას ვახერხებდით. ახლა ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სიის მიუღებლობის საბაბით, გადაწყვიტეს ამ კომისიის მუშაობის საბოტირება.

თუმცა, ამ საბოტირებით დღის წესრიგიდან არ იხსნება ტატუნაშვილი-ოთხოზორიას მკვლელობის საქმის გამოძიების საკითხი. ეს ჩვენი ახირება არ არის. ჩვენი მოთხოვნაა, ტატუნაშვილისა და ოთხოზორიას მკვლელობის სრულფასოვანი და ობიექტური გამოძიება მოხდეს. დარწმუნებული ვარ, ობიექტური გამოძიების პირობებში ყველაფერს ნათელი მოეფინება.

ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სიის გაჩენა ჩვენი თვითმიზანი არ არის. ამ სიის გაჩენა გამოიწვია იმ შეზღუდვამ, რომ ჩვენ მხარეს საშუალება არ აქვს, მომხდარი დანაშაულობები გამოიძიოს. რაღაც მოგონილი საბაბებით უარს გვეუბნებიან მომხდარი მკვლელობების ობიექტურ გამოძიებაზე.

– რატომ არ უნდათ მოიშორონ, მაგალითად, ოთხოზორიას აშკარა მკვლელი? ამ მკვლელობის გარემოებებზე დოკუმენტებიც ხომ არსებობს?

– ოთხოზორიას მკვლელობის მტკიცებულებებიც არსებობს (ვიდეოფირი არის წარმოდგენილი), მაგრამ მხარეები განწყობილი არიან ისე, რომ ყველაფერზე უარი თქვან. აცხადებენ, რომ წარმოდგენილ ვიდეოფირზე არაფერი ჩანს, რაღაც ხარვეზებია, მათთვის დოკუმენტები არ მიუწოდებიათ და ათასგვარი საბაბით უარს გვეუბნებიან მაშინ, როცა აუდიოფირზე ყველაფერი ნათლად ჩანს (სახე ჩანს, მოქმედება ჩანს), დოკუმენტებიც სრულყოფილია, მაგრამ სხვადასხვა საბაბს იყენებენ იმისთვის, რომ საქმე არ გამოვიძიოთ.

აშკარად არ უნდათ, ოთხოზორიას მკვლელობაში დამნაშავემ პასუხი აგოს, რაც ჩვენთვის მიუღებელია. ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების ჯგუფის მუშაობა აღდგება თუ არა, ქართული მხარე ამ საკითხს უყურადღებოდ არ დატოვებს – ყველა დონეზე, ყველა შეხვედრის დროს მოვითხოვთ ამ სისხლის სამართლის დანაშაულობების გამოძიებას.

– კონკრეტულად რომ ვთქვათ, დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებით რა პოზიცია დააფიქსირეს?



– დევნილების დაბრუნებაზე იგივე პოზიცია ჰქონდათ, რასაც ვისმენთ 25 წელია. თურმე ჩვენ დევნილების პრობლემებზე, კონფლიქტის მოგვარებაზე სხვაგან არ უნდა ვილაპარაკოთ.

– რა იგულისხმება სხვაგან ლაპარაკში?

– თურმე, ჩვენ დევნილების დაბრუნების საკითხზე გაეროში არ უნდა ვილაპარაკოთ. ამაზე მხოლოდ ჟენევაში უნდა ვიმსჯელოთ, სადაც, პრაქტიკულად, მათ ეს საკითხი ჩიხში შეიყვანეს.

დღის წესრიგის სხვა საკითხებზე ვიმსჯელეთ, დევნილების დაბრუნებაზეც ვილაპარაკეთ, თუმცა, ეს საკითხები დეტალურად არ განგვიხილავს. ჟენევის მოლაპარაკებებში ლტოლვილთა კომისარიატის წარმომადგენელიც მონაწილეობს, რომელსაც ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. მან ამ თემაზე საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა, ასევე ვრცლად ილაპარაკა გალში არსებულ პრობლემებზე, რის გამოც სოხუმის წარმომადგენლების რისხვაც დაიმსახურა.

სოხუმის წარმომადგენლებს არ მოეწონათ, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ჟენევის ფორმატში სამსჯელოდ მოიტანეს ის ინფორმაცია, რომელიც ასახავს გალის რაიონში არსებულ რეალობას. კერძოდ, ისაუბრა განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ე.წ. პასპორტიზაციაზე. ე.წ. პირადობის მოწმობაზე.

ადამიანის უფლებების დარღვევაზე სერიოზულად ვიმსჯელეთ. ამ შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ჟენევის მოლაპარაკებებში თანათავმჯდომარეებიც არიან, უფრო გაბედულად, მიზანმიმართულად და სახელობით არჩევდნენ ყველა იმ მოვლენას, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებს ეხება.

ასეთი განწყობა იყო ჟენევის შეხვედრებზე.

გარდა ამისა, გაახმოვანეს, რომ საქართველო უნდა შეეგუოს არსებულ რეალობას – ცნოს აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“, რაზედაც ჩვენი ჯგუფის წევრებმა მკაფიოდ და მკვახედ უთხრეს, თქვენ შეეგუეთ, რომ საქართველო არასოდეს აღიარებს აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობას, თქვენ შეეგუეთ, რომ ჩვენ ამ ტერიტორიას განვიხილავთ, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიას.

ამიტომ სჯობს, თავის დროზე მიეცეს შეფასება იმას, რასაც სარკოზი-მედვედევი-სააკაშვილის ხელშეკრულება ჰქვია და მის შესრულებას შეუდგეთ-თქო.

ამაზე რუსეთის წარმომადგენელს რეაქცია და რეპლიკა არ ჰქონია.

– ამ პროცესში სიახლე რა არის?

– ჟენევის ფორმატში შეხვედრების პროცესში სიახლეა ის, რომ ჟენევის შეხვედრებში ქართული ჯგუფის ხელმძღვანელმა დავით დონდუამ თანამდებობა დატოვა. ის შეცვალა გამოცდილმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა ლაშა დარსალიამ. ამ ფორმატის შეხვედრებში სიახლე იქნება თუ არა, არ ვიცი. დაგეგმილი გვაქვს, აქტიურად ვიმუშაოთ იმ საკითხებზე, რომლებშიც ჩიხური მდგომარეობაა. მაგალითად, განათლების სფეროში.

ბოლო დროს დაძაბული ვითარება შეგვექმნა. განათლებასთან დაკავშირებით აფხაზეთში ვითარება გართულდა. ამ საკითხზე ვესაუბრეთ სოხუმის წარმომადგენლებს და, ასე თუ ისე, კულუარებში გაგებითი დამოკიდებულება წარმოიშვა. თუმცა, დარწმუნებით თქმა არ შემიძლია, რადგან აქ ლაპარაკია იმაზე, რამდენად შეეწინააღმდეგება სოხუმი რუსიფიკაციას, რომელიც ხორციელდება აფხაზეთში.

– როგორ წარმოგიდგენიათ შეწინააღმდეგება?

– ბოლო დადგენილებები და ე.წ. პრეზიდენტის ახალი განკარგულებები აფხაზეთში აფხაზური ენის დაცვასთან დაკავშირებით, იმედს გვაძლევს, რომ სოხუმის წარმომადგენლები ამ შემთხვევაში შეძლებენ აფხაზური ენის დაცვასა და განვითარებას.

– ამ პერიოდში კარასინმა განაცხადა, რომ საქართველო მზად არ არის რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად. ამ საკითხზე ისაუბრეთ?

– არა. დიპლომატიურ ურთიერთობაზე ჯგუფში ვისაუბრეთ, რა როგორ იყო, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ვერ მოხდება გარკვეული პირობების შესრულების გარეშე.

– კერძოდ?

– რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების აღიარების გაწვევა და ასევე იმ გზავნილების შეცვლა, რასაც ის სოხუმის ე.წ. ხელისუფლებას უგზავნის.

– პუტინი ამბობს, რომ რუსები არ ერევიან სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში. ჩვენ დიდი ტერიტორია გვაქვს და სხვისი არაფერი გვჭირდებაო.

– ეს დიდი პოლიტიკის სტანდარტებია. ამიტომ არის დღეს, რომ რუსეთი დღეს ვერ ამბობს, რომ აფხაზეთი მისი ტერიტორიაა. ცხინვალში აცხადებენ, რომ რუსეთთან მიერთება უნდათ, რუსეთი თავს იკავებს. აფხაზები არასოდეს დათანხმდებიან რუსეთთან მიერთებას.

ამიტომ რუსეთი თავს შეიკავებს, რათა პუტინს იმის თქმის საშუალება მიეცეს, რომ იმდენი ტერიტორია აქვს, რომ სხვისი არ სჭირდება. ამიტომ რუსები ყოველთვის გვიპასუხებენ, ჩვენ არაფერ შუაში არ ვართო, თითქოს მთელმა მსოფლიომ არ იცოდეს რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ.

მათი მოთხოვნაა, ეს საკითხი გაეროს მოედანზე არ გავიტანოთ. გაეროსთვის ისედაც ცნობილია, რა მოხდა. 25 წლის განმავლობაში გაერომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დევნილების დაბრუნების თაობაზე ათობით რეზოლუცია მიიღო.

თუ ჩვენი ტერიტორიები არ უნდათ, რატომ არის, რომ რუსეთის მესაზღვრე იცავს ე.წ. საზღვარს ადმინისტრაციულ საზღვარზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში? რატომ დებს ე.წ. ხელშეკრულებას სოხუმთან თავდაცვისუნარიანობის, უსაფრთხოებისა და საზღვრების დაცვის შესახებ?!

ნათქვამია, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ახლაც ჭუბურხინჯში ჩავიდა ცოლ-ქმარი და დღესაც არ არის მათი თავისუფალი გადაადგილების საკითხი. მათ აქეთ არ უშვებენ, რადგან საქართველოს მოქალაქეები არიან.

შეიძლება ეს ვიღაცის ახირებაა, სოხუმის წარმომადგენლები გაერკვევიან და მიიღებენ ზომებს. მაგრამ ჯერჯერობით, რუსი ე.წ. მესაზღვრეები ბლოკავენ სიტუაციას. რუსეთი რომ აცხადებს, არაფერ შუაში ვარო, თუ არაფერ შუაშია, რატომ დგას ჩვენს ადმინისტრაციულ საზღვარზე?!

მარიამ გოგოსაშვილი: „ბესელიას იდეა გამოხატვის თავისუფლების პირდაპირი შეზღუდვაა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ჩანაწერებია. ამ ვითარებაში საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართულება სრულიად აკრძალული იქნება. ეს თავის მხრივ გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველია. ამ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია იქნება, რომ, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით ასეთი ფორმით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას.

– თავის დროზე უოტერგეიტის საქმე სწორედ ამ ჩანაწერებით მოხდა, რასაც ამერიკის პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის სავარძელი ემსხვერპლა, ჟურნალისტმა კი პულიტცერის პრემია აიღო.

– ჩვენთვის მედიის როლი დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალიან მნიშვნელოვანია. ის ფაქტიც, რომ სწორედ სიკეთეების შეფასებით უნდა მოხდეს ინფორმაციის გავრცელება მედიის მიერ, მეტყველებს იმაზე, რომ მედია აფასებს კონკრეტული სახის ინფორმაციას, მნიშვნელოვანია თუ არა მიიღოს საზოგადოებამ ეს ინფორმაცია და რამდენად არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ამიტომ, ეს ტესტი, რაც არსებობს დღეს, უნდა იყოს შეფასებული და არა ის, რომ ავკრძალოთ ზოგადად ყველანაირი სახის ინფორმაციის მიწოდება. ეს გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველია.

– სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და პირად სივრცეში შეჭრას შორის? ჩანაწერი ყიფიანის სარდაფში ჩაყვანის ეპიზოდზე, ყიფიანმა ჩათვალა რეპუტაციის შელახვად. დაირღვა მისი პირადი თავისუფლება ამით?

– როგორც აღვნიშნე, უნდა შეფასდეს საკითხი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ინფორმაციის სახით მიწოდებული სიკეთე უფრო მნიშვნელოვანია თუ სხვა დანარჩენი უფლებები. ამის შედარება უნდა მოხდეს ერთმანეთთან.

როდესაც შინაარსობრივ რეგულირებაზე იყო საუბარი, იქ არის საუბარი იმაზე, რომ ცილისწამება არ უნდა იყოს, დაცული უნდა იყოს ადამიანის უფლებები და ა. შ. ამაზე არსებობს ცალკე კანონმდებლობა, სადაც შესაძლებელია დამატებით სამართლებრივი რეაგირების მოხდენა.

სალომე ზურაბიშვილი: „დროა, გადავიდეთ ევროპულ ფორმატზე“

– დროა, გადავიდეთ ევროპულ ფორმატზე, რაც გულისხმობს, რომ საარჩევნო პლაკატებისთვის იყოს სპეციალური ადგილები ან გამოვიყენოთ სარეკლამო ბანერები, – ამის შესახებ პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა.

სალომე ზურაბიშვილი გამოეხმაურა გიორგი ვაშაძის ბრალდებას, რომ დედაქალაქში მხოლოდ ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატების პლაკატები ირეცხება.

როგორც ზურაბიშვილმა აღნიშნა, მისი გადაწყვეტილებით, თბილისში არც ერთი მისი საარჩევნო პლაკატი არ არის. როგორც პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა აღნიშნა, ის სარეკლამოდ მხოლოდ ბანერებს იყენებს.

– ჩემი გადაწყვეტილებით, ჩემი არც ერთი პლაკატი არ არის თბილისში, ვიყენებ მხოლოდ დიდ ბანერებს. დიდი ხანია ვფიქრობ ამაზე და მომხრე ვარ, რომ ჩვენი ქალაქი ასეთი პლაკატებით არ დავაბინძუროთ. დროა, რომ გადავიდეთ ევროპულ ფორმატზე, რაც გულისხმობს პლაკატებისთვის სპეციალურ ადგილებს ან ბანერების გამოყენებას, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ანზორ აბრალავა: „ქართული ოცნება“, ნაცმოძრაობისა და მისი განშტოებების გარდა, არავის აღიარებს“

რატომ იკლო ინტერესმა საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ?

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას

— სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს უნდა, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით ირჩეოდეს. ამავე დროს, აშკარაა, რომ ხალხი სულ უფრო ნაკლებად ინტერესდება კარსმომდგარი საპრეზიდენტო არჩევნებით.

— ეს თვალსაჩინოა და ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. იმისათვის, რომ ხალხს საპრეზიდენტო არჩევნებისადმი ინტერესი გაუქრონ, ამოქმედებულია მასობრივი იდეოლოგია. დიდი ხანია, ქვეყანაში პოლიტიკური დებატებისა და ნორმალური ჯანსაღი პოლიტიკური ქმედებების ნაცვლად ფეხი მოიკიდა პოლიტიკურმა ინტრიგანობამ.

— ეს საზოგადოებაზე ცუდად მოქმედებს?

— საზოგადოება ვარდება ნიჰილიზმში. მისთვის ნებისმიერი ხელისუფლება პრობლემად იქცა. ეს ასუსტებს სახელმწიფოებრივ აზროვნებას და ადგილს აღარ ტოვებს პატრიოტიზმისათვის.

ჩვენს შემთხვევაში ამას ემატება პრეზიდენტის საკმაოდ შემცირებული უფლებამოსილებები. ორგანიზაცია „ეკონომიკისა და პოლიტიკის ანალიზის ცენტრის“ სახელით სხვადასხვა გამოკვლევას ვატარებთ. ბოლო დროს საპრეზიდენტო არჩევნებზე მოვაწყვეთ ხალხის გამოკითხვა და დავასკვენით, რომ ადამიანებს არ მოსწონთ ის ფორმა და შინაარსი, რომელიც საპრეზიდენტო ინსტიტუტს აქვს.

იყო მოსაზრებები, რომ ასეთი უძლური პრეზიდენტი ქვეყნისთვის ზედმეტი ხარჯია. გამოკითხულთა ნაწილის დასკვნით, არსებულ სისტემაში საქართველოში რეალურად პრეზიდენტის არჩევა და მისთვის უფლებამოსილებების გადაცემა კი არ ხდება, ჩვენ ვასაჩუქრებთ ერთ პირს საგზურით. მისი შენახვა და ცერემონიებში მონაწილეობა ღარიბ ქვეყანას ძვირი უჯდება.

— ორ პოლიტიკურ ძალას შორის ატეხილი კომპრომატების ომი არ აისახება ამომრჩეველზე?

— ამომრჩეველი ამას უარყოფითად უყურებს. ხალხს არც დაუსჯელობა მოსწონს. კანონის შეუსრულებლობა და დაუსჯელობაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ქვეყანა იძულებულია, ამ კომპრომატებს ყოველდღე ადევნოს თვალი.

— დაუსჯელობა ამას როგორ უკავშირდება?

— თავდასხმა თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა. სწორედ ამ მეთოდს იყენებენ სააკაშვილის მიერ მართული ნაციონალური მოძრაობა და რუსთავი 2.

— ვისგან იცავენ ისინი თავს? მათ არავინ ერჩის.

— მძიმე დანაშაულზე ადრე თუ გვიან მოუწევთ პასუხი. ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა. სააკაშვილის რეჟიმის 9 წელიწადი უბრალოდ ქორონიკონი არ არის, რომლის გახსენება ზოგს ნერვებს უშლის. ამან მოიტანა უმძიმესი შედეგები. ამის გამოა, რომ შეშინებული ნაცმოძრაობა თავდაცვისათვის თავდასხმაზეა გადასული და ფალსიფიკაციასაც არ თაკილობს. ეს ამ პირებს ეხერხებათ.

— „ოცნების“ ხელისუფლება ნაციონალებთან, როცა თვითონ სჭირდება, თანამშრომლობს, როცა გაუჭირდება, ნაციონალების საქმეებზე გამოძიების დაწყებას აანონსებს. გადატრიალების მცდელობისა და მსგავსი მუხლებით რამდენიმე საქმის გამოძიება დაიწყო, მაგრამ მალევე გაჩერდა. ახლაც იმავე ფირფიტას ატრიალებენ.

— ვრჩები იმ აზრზე, რომ დამნაშავე უნდა დაისჯოს. კანონის წინაშე ყველა თანასწორია. თუ ადამიანს არ ეპატიება ძეხვის ქურდობა, ნაციონალებს რატომ შერჩათ უმძიმესი დანაშაულები?

2008 წლის ომზე სწორი შეფასებებია გასაკეთებელი. რუსეთი 200 წელიწადზე მეტია, გვეომება. 2008 წელსაც რუსეთი შემოიჭრა. რუსეთის ამ სამხედრო ოპერაციაში მოღალატეობრივად იყო ჩართული სააკაშვილი. ანტირუსული ისტერიის ფონზე მან რუსეთს დაუმტკიცა 34 ობიექტი.

— ეკონომიკურ ობიექტებზეა საუბარი?

— დიახ. მაშინ გაიფორმა რუსეთმა ყველაფერი, „ეი ეს თელასით“ დაწყებული, ქარხნებით დამთავრებული. ბათუმისა და ფოთის მიმართულებით სარკინიგზო გადაზიდვებს რუსული კომპანიები ეწევიან. ნაცმოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატის რუსეთთან კავშირების შესახებ ქვეყანამ იცის. გული მწყდება, რომ ვაშაძისა და ნაციონალების გვერდით დგას ჩემთვის პატივსაცემი ხელოვანი პაატა ბურჭულაძე.

— ხალხი მმართველ პარტიასაც ალმაცერად უყურებს. „ქართული ოცნების“ სრულ გაკოტრებაზე მისი მომხრეებიც ალაპარაკდნენ.

— ამას არ ვეთანხმები. ძლიერი და მყარია ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი, რომლის სახელსაც უკავშირდება „ქართული ოცნება“. პოლიტიკოსებს თავიანთი მიზნები აქვთ. ყველაზე ხშირად „ოცნების“ დამთავრებაზე ისინი ყვირიან.

— ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებსაც ბევრი მოითხოვს.

— ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა არ უნდა დაირღვეს. ამისთვის აუცილებელია არჩევნების კონსტიტუციურ ვადებში ჩატარება.

— „ოცნებაშიც“ ასე ფიქრობენ?

— დარწმუნებული ვარ, მმართველი პარტია ვადამდელი არჩევნების გადაწყვეტილებას არ მიიღებს. დავუშვათ, მიიღო. სანამ ვადამდელი არჩევნები მომზადდება, 2020 წელი მოვა. ამ დროს ისედაც დაინიშნება არჩევნები.

— საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური გადაჯგუფებები დაიწყება? მოსალოდნელია კონფიგურაციის შეცვლა?

— ეს მომწიფებულია, მაგრამ, არა მგონია, კონფიგურაცია შეიცვალოს. „ქართული ოცნება“ არ აღიარებს არავის, ნაცმოძრაობისა და მისი განშტოებების გარდა. ეტყობა, ეს გასვრილი ხალხი უნდათ ოპონენტებად. იმათ, ვისაც მთავარ პრობლემებზე თავიანთი შეხედულებები აქვთ, ყველანაირად ხელი ეშლებათ. ამიტომ არ ველი, რომ ჯანსაღ ძალებს გასაქანი მიეცეთ. ეს ქვეყნისთვის არის ცუდი. თუ განსხვავებული აზრის მქონე ჯგუფები ისევ დაბლოკეს, ქვეყანა ვერ განვითარდება.

პაატა კვიჟინაძე: „ყველას გვინდა, რომ პენსია 20 ლარის ნაცვლად 100-ით იზრდებოდეს, თუმცა, ეს ზრდა არის ის, რისი საშუალებაც საქართველოს ეკონომიკას აქვს“

— ყველას გვინდა, რომ პენსია 20 ლარის ნაცვლად 100-ით იზრდებოდეს, თუმცა, ეს ზრდა არის ის, რისი საშუალებაც საქართველოს ეკონომიკას აქვს, — ამის შესახებ განცხადება პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პაატა კვიჟინაძემ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შეფასებისას „კომერსანტთან“ გააკეთა.

მისი ინფორმაციით, პენსიის 50 ლარიანი მატება რომ მოხდეს, ბიუჯეტში ამისთვის 500 მილიონი ლარია საჭირო. კვიჟინაძე აცხადებს, რომ დღეს ასეთი საშუალება არ არის, თუმცა, პროექტში თუ იქნება ისეთი მიმართულებით თანხები, რომელიც შეიძლება პენსიის ნაწილს დაემატოს, ამას კომიტეტი დასკვნაში აუცილებლად აღნიშნავს.

კითხვაზე, რა არის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მთავარი პრიორიტეტები და ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, მათ შორის, სიღარიბეს ნაწილობრივ მოაგვარებს თუ არა, კვიჟინაძე განმარტავს, რომ 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი გაწონასწორებულია, ბიუჯეტის დეფიციტი 3 პროცენტზეა, საგარეო ვალი იკლებს და ასე შემდეგ.

რაც შეეხება სიღარიბეს, კვიჟინაძე განმარტავს, რომ მეტ-ნაკლებად ამ პრობლემას მოევლება. მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც ბიუჯეტში ჩადებულია პენსიის ზრდა, ხელფასების ზრდა სასწრაფოს ექიმებზე, შსსში, თავდაცვის გარკვეულ კატეგორიაზე. გარდა ამისა, მაღალმთიან რეგიონებში იწყება პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მთლიანად დაფინანსდება კენკროვანი კულტურების მოყვანა.

— დაგეგმილია 4.5%-იანი ეკონომიკური ზრდა, თუმცა, ვფიქრობ, რომ უფრო მეტი უნდა იყოს. 4.5%-იან ეკონომიკურ ზრდას რომ მივაღწიოთ, მილიარდზე მეტი პროდუქტი უნდა შეიქმნება. ეს კი საზოგადოების დასაქმებას გამოიწვევს, რაც თავის თავში გუმისხმობს სიღარიბის შემცირებას, — აცხადებს კვიჟინაძე.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, აქ რამდენიმე ძირითადი მიმართულებაა, მათ შორის, სოციალური, სადაც მატულობს ჯანდაცვის დაფინანსება, განათლების, სხვადასხვა პროგრამებზე თანხები. 2 მილიარდ ლარამდეა გაზრდილი ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტიც.

დაზოგილია თუ არა ადმინისტრაციული მიმართულებით თანხები, კვიჟინაძე განმარტავს, რომ პრემიადანამატების გაცემის სისტემა შეიცვალა და ამას უკვე კანონი არეგულირებს.

კითხვაზე, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში ლარის კურსის 2.63 ნიშნულით განსაზღვრა, ხომ არ გახდება ინფლაციის ზრდის საფუძველი, კვიჟინაძე ამას კატეგორიულად გამორიცხავს.

ყაზახურმა მხარემ „ყაზტრანსგაზ თბილისის“ გაყიდვის ღირებულება დაასახელა

ყაზახურმა მხარემ „ყაზტრანსგაზ თბილისის“ გაყიდვის ღირებულება დაასახელა.

აქტივი, რომელშიც, „ყაზტრანსგაზის“ განცხადებით, 160 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადეს, 40 მლნ დოლარად გასხვისდა, — წერს abctv.kz „ყაზტრანსგაზზე“ დაყრდნობით.

„ნაციონალური კომპანიის ტოპმენეჯერებმა სახელმწიფოს ოთხმაგი ზარალი მოუტანეს“ — წერს ყაზახური მედია.

40 მლნ დოლარად „ყაზტრანსგაზ თბილისი“ „სი ბი ეს ჯგუფმა“ ოფშორში რეგისტრირებული შვილობილის WALTBAY-ს მეშვეობით იყიდა.

ყაზახი ინვესტორების გასვლას წინ „ყაზტრანსგაზისა“ და საქართველოს მთავრობას შორის არსებული საარბიტრაჟო დავის მორიგებით დასრულება უძღოდა. ინვესტორი 187 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა.

მორიგების დროს, მთავრობამ კომპანიას არსებული დავალიანება ჩამოაწერა, თავის მხრივ ინვესტორმაც გაათავისუფლა „ყაზტრანსგაზ თბილისი“ დედაკომპანიის წინაშე არსებული დავალიანებისგან.

შეგახსენებთ, 2006 წელს „თბილგაზი“ ყაზახმა ინვესტორებმა 12.5 მლნ დოლარად შეიძინეს და საბოლოოდ ამ აქტივში 160 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადეს. თუმცა, საქართველოს სახელმწიფოს წინაშე დაგროვილი დავალიანების გამო 2009 წლიდან კომპანიას სპეცმმართველი მართავდა.

GBC

ვახტანგ ჭარაია: „ინფლაციის დროს საგარეო ვალი ორმაგ წნეხს ახდენს ლარის კურსზე“

— საგარეო ვალის ზრდა ლარის კურსზე დამატებითი წნეხის მომტანია, — ასე აფასებს თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი ვახტანგ ჭარაია გენერალური აუდიტორის, ირაკლი მექვაბიშვილის განცხადებას.

მექვაბიშვილმა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ ვალუტის კურსის ცვალებადობიდან გამომდინარე, წელს საქართველოს საგარეო ვალი უკვე 211 მილიონი ლარით გაიზარდა.

ჭარაიას განმარტებით, ლარის კურსის ერთი თეთრით გაუფასურებაც კი იწვევს საგარეო ვალის გაზრდას. თუნდაც, 5 თეთრით გაუფასურება კი საგარეო ვალისთვის რამდენიმე ასეული მილიონი ლარით მეტის მომსახურებას ნიშნავს.

— ამ მხრივ, ცალსახაა, რომ გვეზრდება საგარეო ვალი და მისი მომსახურება. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ვალი არა ერთბაშად, არამედ ეტაპობრივადაა გადასახდელი. ყოველწლიურ ჭრილში თუ შევხედავთ, საგანგაშო მდგომარეობა არ არის. თუმცა, ყოველწლიურად, 5 მილიონი ლარითაც რომ გაიზარდოს საგარეო ვალის მომსახურება, ძალიან ცუდი და ნეგატიურია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკიდან უფრო მეტი ამოვიღოთ და უცხოელებს დავუბრუნოთ. ეს გამოიწვევს ლარზე კიდევ უფრო დიდ წნეხს. ერთი მხრივ, ლარის გაუფასურება საგარეო ვალს გვიზრდის და მეორეს მხრივ, ასევე საგარეო ვალი ასევე ახდენს დამატებით წნეხს ლარის კურსზე, ანუ ეროვნული ვალურის გაუფასურებას კიდევ უფრო უწყობს ხელს. როდესაც მთავრობას დასჭირდება 100 მილიონის თუ 1 მილიარდის ყიდვა, ამოიღებს დოლარს ქართული ეკონომიკიდან და გააგზავნის საზღვარგარეთ. შესაბამისად, ლარს კიდევ უფრო გაუჭირდება. ანუ ინფლაციის დროს საგარეო ვალი ორმაგ წნეხს ახდენს ლარის კურსზე, — აცხადებს ჭარაია.

გიორგი ქობულია: „ეს პოლიტიკური კრიზისი რეალურად კრიზისი არ არის. მიზეზი ხალხის გასაჭირია“

ეკონომიკის მინისტრი გიორგი ქობულია:

— ეს ჩვენი პოლიტიკური კრიზისები, რაც არის, არ არის რეალურად კრიზისი. ეს არის ყველაფერი ამოწოვილია და ეს არა მარტო იმისთვის კეთდება, რომ არჩევნებია. ამის ძირითადი საფუძვლები, ფუნდამენტური პრობლემა, არის ჩვენი ხალხის გასაჭირი. ხალხს უჭირს, ამიტომ, როცა ხალხს უჭირს, რა თქმა უნდა, უკმაყოფილებაა. ეს უკმაყოფილება სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. ასეთი ტიპის ვითომ კრიზისები რომ გავასწოროთ, ამის ერთადერთი გზა არის ეკონომიკის გაძლიერება და ხალხის კეთილდღეობის ამაღლება. აბა გადახედეთ, ასეთი რაღაცები ხდება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჰოლანდია, საფრანგეთი, ავსტრია, შვეიცარია — არა, იმიტომ რომ ხალხს არ უჭირს და ასეთ რაღაცებს არ გამოეკიდება.

„შალალო“ ალაპარაკდა, ოპოზიციის წევრები შეიძლება დაიჭირონ“

ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, უვადო პატიმრობამისჯილი შალვა აბულაძე, იგივე „შალალო“ პროკურატურას სხვადასხვა გახმაურებული საქმის რეალურ დამნაშავეებს უსახელებს.

იურისტმა ამის შესახებ „პალიტრა-ნიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ ექსკლუზიურად განაცხადა.

ხაჭაპურიძე ოპოზიციის წარმომადგენლების დაჭერებს აანონსებს:

– დღეს მომივიდა ასეთი ინფორმაცია, რომ რამდენიმე ცნობილი დეპუტატის დაყაჩაღების, ერთი პოლიციელის მკვლელობის და ა.შ. საქმეებზე ერთ-ერთმა პატიმარმა ითანამშრომლა გამოძიებასთან და გახსნა ეს საქმეები. მოქმედ დეპუტატებზე, მოქმედ პოლიტიკოსებზეა საუბარი და ამ დღეებში გახმაურდება. ახლა ამის გაჟღერება და ხალხის ფსიქიკის დაძაბვა ზედმეტი იქნება.

ეს არის რამდენიმე წლის წინანდელი – 2001-დან დაწყებული, 2006, 2007 წლის ჩათვლით მომხდარი საქმეები, მათ შორის ერთ-ერთი პოლიციელის, პატრულის თანამშრომლის მკვლელობის საქმეა, რის გამოც, სასჯელი მოიხადა ერთმა პირმა, მაგრამ ეს პოლიციელი სხვამ მოკლა, რომელიც გარეთ არის. გვარებს ჯერ ვერ გავაჟღერებ მარტივი მიზეზის გამო – 2 კვირის განმავლობაში მზადდებოდა ეს დოკუმენტი და იმედია, გამოძიება თავის სიტყვას იტყვის.

საკმაოდ სერიოზულ დანაშაულებზეა საუბარი, მათ შორის, უცხოელების

გატაცებაზე, თავდასხმაზე, რის გამოც საქართველო სერიოზულ დიპლომატიურ კონფლიქტებში იყო, – ამბობს ხაჭაპურიძე.

მისივე თქმით, შალვა აბულაძე ამ საქმეების გახსნის სანაცვლოდ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას ითხოვს.

– ამ პატიმარს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი და ითხოვს საპროცესო შეთანხმებას. ეს ჩვეულებრივი ამერიკული მოდელია. ნეტავ, მხოლოდ ამაზე იყენებდნენ საპროცესო შეთანხმებებს და არა – გაუკუღმართებული ფორმებით. ეს პატიმარი მეორე წელია, სასჯელს იხდის და მისი საქმე განხილვის სტადიაშია.

ვიმეორებ, საკმაოდ გახმაურებულ საქმეებზეა საუბარი. ის ასახელებს დამნაშავეებს, ნივთებს, გატაცებულებს და ა.შ. ძალიან ბევრი ცნობილი სახე შეიძლება ვიხილოთ, მათ შორის „ნაკოლშიკებად“ ასახელებს მოქმედ პოლიტიკოსებს. ეს პოლიტიკოსები მმართველი გუნდის წევრებიც არიან და ოპოზიციის წევრებიც. გისოსებს მიღმა შეიძლება ვიხილოთ ოპოზიციის წევრები, მმართველ გუნდში არავინ არ არის.

საკმაოდ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი. ამ ინფორმაციაზე მუშაობა 2 კვირაა მიმდინარეობს და კიდევ შეიძლება რამდენიმე თვე დასჭირდეს ინფორმაციის გადამუშავებას. არის დეტალები, რომლებზეც გამოძიებამ უნდა იმუშაოს. ბევრი ისეთი დამნაშავის გვარია დასახელებული, რომლებიც გარეთ დადიან, ზოგი ბიზნესშია, ზოგი პოლიტიკაში და რაღაც საქმიანობებს ეწევიან; ზოგი კრიმინალურ საქმიანობას ეწევა. ერთ-ერთი გავლენიანი ადამიანის პირად დაცვაში მუშაობს. ამიტომ გამოძიებას ვურჩევ, კარგად დაინტერესდეს და განცხადება კარგად წაიკითხოს.

საუბარია შალვა აბულაძეზე – „შალალოზე“, რომელიც 4 პოლიციელის მკვლელობასა და 8 პოლიციელის მკვლელობის მცდელობაზეა, ნომერ პირველი დამნაშავეა საქართველოში. დიდი კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანია. აქვს ეს ინფორმაციები და ასახელებს. მან წერილი გამომიგზავნა, სადაც აღნიშნულია, რომ მისი მოთმინების ფიალა ივსება. შესაძლებელია, პირდაპირ ეთერებში ტელევიზიებსაც ჩაერთოს და არც არაფერს დამალავს, ყველაფერს იტყვის“, – განაცხადა შალვა ხაჭაპურიძემ.

გორში, საჭმლის მოუმზადებლობის გამო, 52 წლის მამაკაცმა მეუღლეს ხის ჯოხით სცემა

19 ოქტომბერს გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ 52 წლის მამაკაცს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მამაკაცს, ოჯახური ძალადობის მუხლით, ბრალი პროკურატურამ წაუყენა. პროკურორის განცხადებით, მამაკაცმა მეუღლეს ჯოხი სამჯერ გადაარტყა – თავში და ბეჭებში. „გორმედის“ სამედიცინო დასკვნით, ქალს ტვინის შერყევა დაუდგინდა.

– იმ დროს, როდესაც ბრალდებული სამწყემსოდან სახლში დაღლილი დაბრუნდა, მეუღლემ უკმეხად უთხრა, რომ მისთვის საჭმელი არ ჰქონდა გაკეთებული, რაზეც მამაკაცი გაღიზიანდა და მეუღლესთან შეკამათდა, – აცხადებს ადვოკატი გივი ტურაშვილი.

პროკურორის ბრალდებით, მამაკაცი სიტყვიერად დაემუქრა მეუღლეს და შემდეგ თავზე და ტანზე სამჯერ დაარტყა მის ხელთ არსებული ხის ჯოხი.

დაკავებულის მეუღლე, დაზარალებულად ცნობილი ქალბატონი აცხადებს, რომ მან შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და მხოლოდ ამის გამო გამოიძახა პოლიცია.

– როდესაც მეუღლემ ჯოხი დამარტყა, ისედაც შეუძლოდ ვიყავი და დავრეკე 112-ში, სასწრაფოს პოლიცია მოყვა და წამიყვანეს გორმედში, სადაც ტვინის შერყევა დამიდგინდა. მართალია ტანჯვას არ განვიცდიდი, მაგრამ შეურაცხყოფილი ვიყავი მეუღლის ქმედებებით, – ამბობს დაზარალებული.

ადვოკატის თქმით, არ იყო აუცილებელი პატიმრობის შეფარდება, თუმცა პროკურორის შუამდგომლობა, ქმედების განმეორების ალბათობის შესახებ, მოსამართლემ პატიმრობა გაითვალისწინა.

დაკავებულს პროკურატურამ ორი მუხლის, 151-ე და 126-ე მუხლის მიხედვით წარუდგინა: მუხლი 151– მუქარა 1. სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების, ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან ასოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 126 (ოჯახში ძალადობა) – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა გამოიწვია, ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ასორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

„აცეტონი შეასხა და ცეცხლი მოუკიდა...“ – ბრალდებულს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

პროკურატურის ინფორმაციით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის ბრალდებულს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის ბრალდებული თ.ს. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 20 მაისს, თ.ს. სტუმრად იმყოფებოდა ქ.თბილისში, ს.მ.-სთან. ნასვამ მდგომარეობაში მყოფ თ.ს.-ს ურთიერთშელაპარაკება მოუხდა ს.მ.-სთან, რა დროსაც სხეულის განზრახ დაზიანების მიზნით, მას აცეტონი შეასხა და ცეცხლი მოუკიდა. თ.ს. ქმედებით დაზარალებულმა სახისა და სხეულის არეში წარუხოცელი დაზიანება მიიღო.

სამართალდამცველებმა თ.ს. 2018 წლის 26 მაისს ქ.თბილისში დაიკავეს. თ.ს.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ თ.ს. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“ – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თელ-ავივში საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელიც სასტუმროს ნომრიდან ფულის მოპარვაშია ეჭვმიტანილი

ისრაელში, თელ-ავივში საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელიც სასტუმროს ნომრიდან ფულის მოპარვაშია ეჭვმიტანილი.

ამის შესახებ ინფორმაციას თელ-ავივის პოლიციის პრესსამსახური ავრცელებს.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიება 17 ოქტომბერს დაიწყო, როდესაც პოლიციაში განცხადება შევიდა, თელ-ავივის ერთ-ერთ სასტუმროში მყოფი სინგაპურელი ტურისტისგან. ტურისტის თქმით, მის ნომერში სეიფი ვიღაცამ გააღო და დიდი ოდენობით ფული აიღო.

პოლიციამ სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურთან ერთად, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები ჩაატარა და ეჭვმიტანილი დაიკავა. ეჭვმიტანილი 1994 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა, რომელიც ამავე სასტუმროში მუშაობდა.

გამოძიება აღნიშნულ საქმეზე გრძელდება. პოლიცია არკვევს, სხვა ტურისტებსაც ხომ არ შეემთხვათ იგივე ინციდენტი.

შსს „გირჩის“ წარმომადგენლებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ პროვოკაციული განცხადებებისა და სამართალდარღვევების ჩადენისგან

შინაგან საქმეთა სამინისტრო „გირჩის“ აქციასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„გვსურს, კიდევ ერთხელ გამოვეხმაუროთ ე.წ. ფესტივალის გამართვასთან დაკავშირებით პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ განცხადებას.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, გასაღება, მოხმარება და პოპულარიზაცია დასჯადია. კანონით ასევე ისჯება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ორგანიზება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო „გირჩის“ მიერ ბოლო დღეების განმავლობაში გავრცელებულ განცხადებებს აფასებს, როგორც დანაშაულის ორგანიზების განზრახვას, სამართალდარღვევების ჩადენისკენ მოწოდებას და მოქალაქეთა წახალისებას ჩაებან კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში.

აღნიშნული განცხადებების საფუძველზე, სამინისტრომ უკვე დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე პრიმა მუხლის მე-2 და მე-8 ნაწილებით, რაც მცენარე კანაფის ან მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვას და გასაღებას გულისხმობს.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების და მოხმარების წახალისების წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ე.წ. ფესტივალზე ვინმეს (მათ შორის პოლიტიკური გაერთიანების წევრების თუ საპრეზიდენტო კანდიდატის) მხრიდან ადგილი ექნება რაიმე ტიპის სამართალდარღვევას – ნარკოტიკული საშუალების გასაღებას, ფლობას, მოხმარებას თუ პოპულარიზაციას, პოლიცია სამართალდამრღვევი ყველა პირის მიმართ გაატარებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

მოვუწოდებთ მოქალაქეებს, მათ შორის პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ წარმომადგენლებს, შეწყვიტონ სამართალდარღვევებისკენ მოწოდება, თავი შეიკავონ პროვოკაციული განცხადებებისა და სამართალდარღვევების ჩადენისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიცია გამოიყენებს კანონით განსაზღვრულ მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს სამართალდარღვევების აღსაკვეთად“ – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ტრამპი: „ჟურნალისტი ჰაშოგი, როგორც ჩანს, მართლა მოკლეს“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, ჟურნალისტი ჰაშოგი მართლა მოკლულია.

– თუ დადასტურდება, რომ ამაში საუდის არაბეთის ხელისუფლება მონაწილეობდა, მათ კარგი დღე არ დაადგებათ, – თქვა ტრამპმა.

ჰაშოგის გაუჩინარების გარშემო სკანდალი ძლიერდება.

აშშ-ის ფინანსთა მინისტრი მნუჩინი ელ-რიადში საინვესტიციო ფორუმზე აღარ ჩავა. მაიკ პომპეომ პრეზიდენტს დაწვრილებით მოახსენა როგორც საუდის არაბეთში, ასევე თურქეთში ვიზიტების თაობაზე. მან პრეზიდენტს განუცხადა, რომ საუდის არაბეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ჟურნალისტ ჰაშოგის გაუჩინარების საქმე გაიხსნას. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა გამოთქვა რწმენა, რომ ჰაშოგის საქმეში არც ერთი კითხვის ნიშანი არ დარჩება.

ერ-რიადში საინვესტიციო სამიტში მონაწილეობაზე უარი ბრიტანეთის ვაჭრობის მინისტრმა ფოქსმაც თქვა.

– სანამ ჟურნალისტ ჰაშოგის გაუჩინარების საქმე არ გაირკვევა, საუდის არაბეთში ჩასვლა მიუღებლად მიმაჩნია, – თქვა ფოქსმა.

მანამდე აღნიშნულ სამიტზე ჩასვლაზე უარი საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრმაც განაცხადა.

აშშ-ის სპეცსამსახურები იმ აზრისკენ იხრებიან, რომ ჟურნალისტის მკვლელობაში საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცი მუჰამედ იბნ სალმანია გარეული.

აშშ-ის სადაზვერვო სამსახურებს მკვლელობასთან მემკვიდრე პრინცის კავშირის პირდაპირი მტკიცებულებები არ აქვთ, მაგრამ უკვე დაუგროვდათ საკმაო რაოდენობის ირიბი მტკიცებულებები. დაზვერვის ცნობით, საუდელი ოფიციალური პირები ჰაშოგის დაკავების გეგმას განიხილავდნენ. პრინცის მიმართ ეჭვებს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ჰაშოგის გაუჩინარებაში ეჭვმიტანილ პირებს შორის მისი დაცვის წევრებიც არიან.

ამერიკულმა მხარემ ჯერ ვერ გააკეთა დასკვნა, გასცა თუ არა პრინცმა მუჰამედმა პირდაპირი ბრძანება ჰაშოგის მკვლელობის შესახებ, თუ მას ჟურნალისტის დაკავება და საუდის არაბეთში იძულებით დაბრუნება სურდა.

ამასობაში თურქეთის პოლიცია საუდელი ჟურნალისტის ცხედარს სტამბოლის შემოგარენში, ტყეში ეძებს.

საუდის არაბეთის საკონსულოსა და კონსულის რეზიდენციაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად გამომძიებლებმა აღადგინეს „რამდენიმე ნიმუში“ და ახლა ისინი ჰაშოგის კვალზე გასვლას ცდილობენ.

– პოლიციამ გააფართოვა ცხედრის ძებნის ტერიტორია, შეისწავლა 2 ოქტომბერს საუდის არაბეთის საკონსულოდან გასული ყველა ავტომობილის მარშრუტი. გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ მკვლელებმა ჰაშოგის ცხედარი სტამბოლთან მდებარე ტყეში დატოვეს, – აცხადებენ სააგენტო რეიტერის წყაროები.

წარმოშობით საუდელი ჟურნალისტი ჯამალ ჰაშოგი ერ-რიადის მიმართ კრიტიკული განცხადებებით არის ცნობილი. 2017 წელს მან სამშობლო დატოვა და საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა.

მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს ის სტამბოლში საუდის არაბეთის გენერალურ საკონსულოში მივიდა იმის შემდეგ, რაც საკონსულოს თანამშრომლები მას ტელეფონით დაუკავშირდნენ და გარკვეული დოკუმენტების ხელმოწერის მიზნით საკონსულოში მისვლა სთხოვეს.

ჰაშოგი საკონსულოში საცოლესთან ერთად მივიდა, თუმცა ის შენობაში არ შეუშვეს.

შესვლიდან 5 საათის შემდეგ საკონსულოში ჟურნალისტის საცოლეს განუცხადეს, რომ ჰაშოგი უკვე წავიდა.

ჟურნალისტის ოჯახი და მეგობრები ვარაუდობენ, რომ ჯამალ ჰაშოგი საუდის არაბეთის საკონსულოშია მოკლული.

მოკლეს ყანდაგარის პოლიციის უფროსი

მოკლეს ყანდაგარის პოლიციის უფროსი რაზიკი. ტერაქტზე პასუხისმგებლობა მოძრაობა „თალიბანმა“ აიღო.

თანახმად არსებულ ინფორმაციისა, „თალიბანი“ რაზიკზე საგანგებოდ ნადირობდა. მასზე არაერთი თავდასხმა მოეწყო. უკანასკნელი შედეგიანი აღმოჩნდა.

რაზიკს თავს მაშინ დაესხნენ, როცა ის ამერიკელ გენერალ მილერს შეხვდა. ტერაქტის შედეგად რაზიკი დაიღუპა, ხოლო ამერიკელი გენერალი არ დაზარალებულა.

ქერჩელი მსროლელის დედა სექტანტი ყოფილა

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ქერჩის ტექნიკუმში სისხლიანი ტერაქტი მისმა სტუდენტმა ვლადისლავ როსლიაკოვმა მოაწყო.

როსლიაკოვის დედა სექტა „იეღოვას მოწმეების“ წევრი იყო, მამა – ქრონიკული ალკოჰოლიკი, ცოლთან განშორებული. ვლადისლავს სექტანტი დედა ზრდიდა. ის ბიჭს მკაცრად ეპყრობოდა. ვლადისლავს ეკრძალებოდა კინოში სიარული, აქაოდა, იქ გარყვნილებას უჩვენებენო. დედა არ ყიდულობდა მისთვის კომპიუტერს, ინტერნეტი ამერიკული პროპაგანდის რუპორიაო; არ უშვებდა სათამაშოდ ეზოში, ხულიგნებმა არ აგიყოლიონო და ა.შ.

დედა და შვილი პუტინის თავგამოდებული ფანები იყვნენ. ორივე რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას მიესალმა.

დედისეულმა „აღზრდამ როსლიაკოვის ფსიქიკაზე უდიდესი გავლენა იქონია. ვლადისლავი გაბოროტდა, გახდა გულჩათხრობილი. სისასტიკისადმი მიდრეკილებას ჯერ კიდევ ბავშვობაში ამჟღავნებდა. ის ახრჩობდა კატის კნუტებს, სიამოვნებას ჰგვრიდა შინაური ცხოველების წამება და ა.შ. ზედმეტად მკაცრმა აღზრდამ კი თანდაყოლილი სისასტიკე კიდევ უფრო გაუძლიერა.

საბოლოოდ ეს ტრაგედიით დასრულდა.

ეკვადორის ხელისუფლებამ შესაძლოა ასანჯი დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნოს

სკანდალური ვიკილიქსის დამაარსებელი ჯულიან ასანჯი უკვე მეექვსე წელია, რაც ლონდონში ეკვადორის საელჩოში ცხოვრობს.

ეკვადორის ხელისუფლება აპირებს, ასანჯს ეკვადორის მოქალაქეობა მიანიჭოს და დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნოს.

ინგლისის ხელისუფლება აცხადებს, რომ ასანჯს დიპლომატად არასოდეს აღიარებს. როგორც ინგლისის, ისე აშშ-ის სპეცსამსახურები ვიკილიქსის დამფუძნებელს რუსეთის დაზვერვასთან კავშირს სდებენ ბრალად.

ისმის კითხვა, სად დაიწყებს თავის დიპლომატიურ კარიერას ასანჯი? დიდ ბრიტანეთში ეს შეუძლებელია. არსებობს ინფორმაცია, რომ ეკვადორის ხელისუფლება ასანჯის მოსკოვში გაგზავნას აპირებს, სადაც ის ეკვადორის საელჩოში იმუშავებს. მაგრამ როგორ დატოვებს ის საელჩოს შენობას ლონდონში? ინგლისელები მას უმალ დააპატიმრებენ.

რუსეთის დაზვერვამ ასანჯის ლონდონიდან გაპარვის გეგმა შეიმუშავა. მასზე უკანასკნელ მომენტში უარი თქვეს, რადგანაც რისკი ძალიან დიდი იყო.

კოსოვო რეგულარულ არმიას ქმნის

კოსოვოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ქვეყნის უშიშროების ძალების რეგულარულ არმიად გარდაქმნის თაობაზე.

ამრიგად, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან საკმაო დროის გასვლის შემდეგ გადაიდგა პირველ სერიოზული ნაბიჯი ეროვნული არმიის შესაქმნელად.

სერბეთის თავდაცვის მინისტრმა მიღებული გადაწყვეტილების გამო კოსოვოს ხელისუფლება გააკრიტიკა.

– კოსოვოს არმის შექმნა მთელ რეგიონს საფრთხეს უქადის, – თქვა მან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღნევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

უქმეებზე მადონინაა, მანჩესტერი კი ლონდონში ჩადის

სტატისტიკა, ფსონები

კარგი უქმეები ელოდება ფეხბურთის გულშემატკივარს. თუმცა, 2 მატჩს გამოვარჩევთ: ინგლისის პრემიერლიგაში ლონდონის ჩელსი შინ დაუხვდება მანჩესტერს. ორივე ამბიციური გუნდია და ორივესგან შედეგს ითხოვს გულშემატკივარი.

და მადონინა... მილანური დერბი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

ინგლისი

20.10 ჩელსი-მანჩესტერი	1.73	3.75	4.75
20.10 ვესტ ჰემი-ტოტენჰემი	3.9	3.8	1.88
20.10 ბორნმუთი-საუთჰემპტონი	1.95	3.7	3.7
20.10 კარდიფი-ფულემი	2.4	3.4	2.87
20.10 ვულვზი-უოტფორდი	1.73	3.6	5.0
20.10 ნიუკასლი-ბრაიტონი	2.15	3.2	3.7
20.10 სიტი-ბარნლი	1.07	9.0	23.0
20.10 ჰადერსფილდი-ლივერპული	10.0	5.0	1.32
21.10 ევერტონი-კრ.პალასი	1.91	3.5	4.2
22.10 არსენალი-ლესტერი	1.53	4.33	5.8

ჩელსი-მანჩესტერი

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ანდერ ერერა, ჯესი ლინგარდი

ვესტ ჰემი-ტოტენჰემი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-კარლოს სანჩესი, ხავიერ ერნანდესი, ჯეკ უილშირი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-იან ვერტოგენი, დელი ალი, მუსა დემბელე, კრისტიან ერიკსენი, სერჟ ორიე

ბორნმუთი-საუთჰემპტონი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-არავინ

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-იან ბედნარეკი, შონ ლონგი

კარდიფი-ფულემი

კარდიფი: ***ტრავმ***-ჯუნიორ ჰოილეტი, ლი პელტიერი, ნათან მენდესლიანგი

ფულემი: ***ტრავმ***-ტიმოთი ფოსუმენსა, ჯო ბრაიანი

ვულვზი-უოტფორდი

ვულვზი: ***ტრავმ***-არავინ

უოტფორდი:***ტრავმ***-დარილ იანმაატი

ნიუკასლი-ბრაიტონი

ნიუკასლი:***ტრავმ***-სალომონ რონდონი

ბრაიტონი: ***ტრავმ***-არავინ

სიტი-ბარნლი

სიტი:***ტრავმ***-ფაბიან დელფი, კევინ დე ბრუინე

ბარნლი: ***ტრავმ***-ჯეიმს ტარკოვსკი

ჰადერსფილდი-ლივერპული

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ტერენსე კონგოლო, რამადან სობი

ლივერპული: ***ტრავმ***-ნაბი კეიტა

ევერტონი-კრ.პალასი

ევერტონი: ***ტრავმ***-სიმუს კოულმენი

კრ.პალასი:***ტრავმ***-კრისტიან ბენტეკე

არსენალი-ლესტერი

არსენალი: ***ტრავმ***-პეტერ ჩეხი, ლორენ კოშიელნი

ლესტერი:***ტრავმ***-დემარაი გრეი

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	8	6	2	0	21-3	20
2.ჩელსი	8	6	2	0	18-5	20
3.ლივერპული	8	6	2	0	15-3	20
4.არსენალი	8	6	0	2	19-10	18
5.ტოტენჰემი	8	6	0	2	15-7	18
6.ბორნმუთი	8	5	1	2	16-12	16
7.ვულვზი	8	4	3	1	9-6	15
8.მანჩესტერი	8	4	1	3	13-14	13
9.უოტფორდი	8	4	1	3	11-12	13
10.ლესტერი	8	4	0	4	14-12	12
11.ევერტონი	8	3	3	2	13-12	12
12.ბარნლი	8	2	2	4	10-12	8
13.ბრაიტონი	8	2	2	4	9-13	8
14.კრ.პალასი	8	2	1	5	5-9	7
15.ვესტ ჰემი	8	2	1	5	8-13	7
16.საუთჰემპტონი	8	1	2	5	6-14	5
17.ფულემი	8	1	2	5	9-21	5
18.ჰადერსფილდი	8	0	3	5	4-17	3
19.ნიუკასლი	8	0	2	6	6-13	2
20.კარდიფი	8	0	2	6	4-17	2

ესპანეთი

20.10 რეალი-ლევანტე	1.15	8.5	15.0
20.10 ვალენსია-ლეგანესი	1.57	3.9	6.0
20.10 ვილიარეალი-ატლეტიკო	3.75	3.1	2.15
20.10 ბარსელონა-სევილია	1.35	5.5	7.5
21.10 რაიო-ხეტაფე	2.87	3.25	2.55
21.10 ეიბარი-ბილბაო	2.7	3.1	2.8
21.10 უესკა-ესპანიოლი	3.5	3.5	2.1
21.10 ბეტისი-ვალიადოლიდი	1.61	3.75	5.8
22.10 სოსიედადი-ხირონა	1.7	3.8	4.8

რეალი-ლევანტე

რეალი: ***ტრავმ***-დანი კარვახალი

ლევანტე: ***ტრავმ***-ნიკოლა ვუკჩევიჩი, კოკე

ვალენსია-ლეგანესი

ვალენსია: ***ტრავმ***-გონსალო გუედეში

ლეგანესი: ***ტრავმ***-ალექსანდერ შიმანოვსკი

ვილიარეალი-ატლეტიკო

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ვიქტორ რუისი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-არავინ

ბარსელონა-სევილია

ბარსელონა: ***ტრავმ***-ტომას ვერმალენი, სამუელ უმტიტი

სევილია: ***ტრავმ***-მაქსიმ გონალოსი, იბრაჰიმ ამადუ

რაიო-ხეტაფე

რაიო: ***ტრავმ***-ალვარო მედრანი, გორკა ელისტუნდო

ხეტაფე: ***ტრავმ***-დაკომან დიენე, ფრანსისკო პოლიტო

ეიბარი-ბილბაო

ეიბარი: ***ტრავმ***-პაულო ოლივეირა, გონსალო ესკალანტე

ბილბაო: ***ტრავმ***-არავინ

უესკა-ესპანიოლი

უესკა: ***ტრავმ***-ლუიზინიო

ესპანიოლი: ***ტრავმ***-არავინ

ბეტისი-ვალიადოლიდი

ბეტისი:***ტრავმ***-ხოაკიმი, ანდრეს გუარდადო

ვალიადოლიდი:***ტრავმ***-დუეი კოპი

სოსიედადი-ხირონა

სოსიედადი:***ტრავმ***-ხოსება ზალდუა, მიკელ მერინო, მარტინ მერკუელანცი

ხირონა: ***ტრავმ***-ალექს გრანელი

სატურნირო ცხრილი:

1.სევილია	8	5	1	2	18:8	16
2.ბარსელონა	8	4	3	1	19:9	15
3.ატლეტიკო	8	4	3	1	9:4	15
4.რეალი	8	4	2	2	12:7	14
5.ესპანიოლი	8	4	2	2	11:7	14
6.ალავესი	8	4	2	2	11:8	14
7.ვალიადოლიდი	8	3	3	2	7:6	12
8.ბეტისი	8	3	3	2	5:6	12
9.სოსიედადი	8	3	2	3	12:11	11
10.სელტა	8	2	4	2	13:12	10
11.ლევანტე	8	3	1	4	12:14	10
12.ეიბარი	8	3	1	4	9:12	10
13.ვალენსია	8	1	6	1	6:7	9
14.ხეტაფე	8	2	3	3	6:7	9
15.ხირონა	8	2	3	3	10:13	9
16.ვილიარეალი	8	2	2	4	6:7	8
17.ბილბაო	7	1	4	2	9:13	7
18.ლეგანესი	8	2	1	5	7:12	7
19.რაიო	7	1	2	4	7:15	5
20.უესკა	8	1	2	5	7:18	5

გერმანია

20.10 აუგსბურგი-ლაიპციგი	2.9	3.6	2.3
20.10 ნიურნბერგი-ჰოფენჰაიმი	3.7	4.0	1.85
20.10 ვოლფსბურგი-ბაიერნი	8.0	5.0	1.36
20.10 შტუტგარტი-დორტმუნდი	4.0	3.8	1.83
20.10 ლევერკუზენი-ჰანოვერი	1.57	4.2	5.5
20.10 შალკე-ვერდერი	2.05	3.4	3.6
21.10 ჰერტა-ფრაიბურგი	1.85	3.5	4.33
21.10 გლადბახი-მაინცი	1.61	4.33	4.8

აუგსბურგი-ლაიპციგი

აუგსბურგი:***ტრავმ***-ჯი დონგ ვონი

ლაიპციგი: ***ტრავმ***-არავინ

ნიურნბერგი-ჰოფენჰაიმი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ტიმ ლეიბოლდი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-არავინ

ვოლფსბურგი-ბაიერნი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-იგნასიო კამაჩო

ბაიერნი: ***ტრავმ***-კორენტინ ტოლისო, კინგსლი კომანი

შტუტგარტი-დორტმუნდი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-დენის აოგო, ანასტასიას დონისი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მანუელ აკანჯი, მარსელ შმელცერი

ლევერკუზენი-ჰანოვერი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ჩარლზ არანგისი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-არავინ

შალკე-ვერდერი

შალკე: ***ტრავმ***-სედრიკ ტოჩე

ვერდერი: ***ტრავმ***-მარტინ ჰარნიკი

ჰერტა-ფრაიბურგი

ჰერტა: ***ტრავმ***-ნიკლას შტარკი, მარკო გრუიჩი, ჯორდან ტორუნარიგა

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მაიკ ფრანცი, ფლორიან ნიდერლეჰნერი, პასკალ შტენცელი, ნილს პეტერსენი

გლადბახი-მაინცი

გლადბახი: ***ტრავმ***-რაფაელი

მაინცი: ***ტრავმ***-რობინ ქუაისონი, ნიკო ბუნგერტი, გერიტ ჰოლტმანი

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	7	5	2	0	23:8	17
2.ლაიპციგი	7	4	2	1	16:9	14
3.გლადბახი	7	4	2	1	15:9	14
4.ვერდერი	7	4	2	1	13:8	14
5.ჰერტა	7	4	2	1	12:7	14
6.ბაიერნი	7	4	1	2	12:8	13
7.აინტრახტი	7	3	1	3	12:11	10
8.მაინცი	7	2	3	2	4:4	9
9.ვოლფსბურგი	7	2	3	2	10:11	9
10.აუგსბურგი	7	2	2	3	14:13	8
11.ფრაიბურგი	7	2	2	3	9:13	8
12.ნიურნბერგი	7	2	2	3	7:16	8
13.ჰოფენჰაიმი	7	2	1	4	11:12	7
14.ლევერკუზენი	7	2	1	4	7:13	7
15.შალკე	7	2	0	5	5:9	6
16.ჰანოვერი	7	1	2	4	8:14	5
17.ფორტუნა	7	1	2	4	5:11	5
18.შტუტგარტი	7	1	2	4	6:13	5

იტალია

20.10 რომა-სპალი	1.32	5.5	9.0
20.10 იუვენტუსი-ჯენოა	1.18	6.5	17.0
20.10 უდინეზე-ნაპოლი	6.0	3.9	1.57
21.10 ფროზინონე-ემპოლი	3.0	3.2	2.45
21.10 ბოლონია-ტორინო	3.25	3.2	2.35
21.10 პარმა-ლაციო	5.25	4.0	1.63
21.10 კიევო-ატალანტა	5.25	3.9	1.67
21.10 ფიორენტინა-კალიარი	1.55	4.2	6.0
21.10 ინტერი-მილანი	2.4	3.3	3.0
22.10 სამპდორია-სასუოლო	2.15	3.5	3.3

რომა-სპალი

რომა: ***ტრავმ***-დიეგო პეროტი

სპალი:***ტრავმ***-ფელიპესალვატორე ესპოზიტო

იუვენტუსი-ჯენოა

იუვენტუსი: ***ტრავმ***-სამი ჰედირა

ჯენოა:***ტრავმ***-ნიკოლა დალ მონტე

უდინეზე-ნაპოლი

უდინეზე: ***ტრავმ***-მამადუ კულიბალი, ემანუელ ბადუ

ნაპოლი: ***ტრავმ***-ვლად კირიკეში

ფროზინონე-ემპოლი

ფროზინონე: ***ტრავმ***-ემილ ჰალფრედსონი

ემპოლი: ***ტრავმ***-ლევან მჭედლიძე, არნელ იაკუპოვიჩი

ბოლონია-ტორინო

ბოლონია: ***ტრავმ***-ორჯი ოკვონკო, ფედერიკო მატიელო

ტორინო: ***ტრავმ***-კრისტიან ანსალდი

პარმა-ლაციო

პარმა: ***ტრავმ***-ემანუელ კალაიო, ჟერვინიო

ლაციო: ***ტრავმ***-მილან ბადელი, ჯორდან ლუკაკუ

კიევო-ატალანტა

კიევო: ***ტრავმ***-ჯოელ ობი, ფილიპ ჯორჯევიჩი

ატალანტა: ***ტრავმ***-ანდრეა მასიელო, მარტო ტუმინელო

ფიორენტინა-კალიარი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

კალიარი: ***ტრავმ***-რაგნარ კლავანი

ინტერი-მილანი

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

მილანი: ***ტრავმ***-რიკარდო მონტოლივო, შტეფან სიმიჩი, ივან სტრინიჩი

სამპდორია-სასუოლო

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ

სასუოლო: ***ტრავმ***-როჯერიო

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	8	8	0	0	18:5	24
2.ნაპოლი	8	6	0	2	15:10	18
3.ინტერი	8	5	1	2	12:6	16
4.ლაციო	8	5	0	3	11:9	15
5.სამპდორია	8	4	2	2	12:4	14
6.რომა	8	4	2	2	16:10	14
7.ფიორენტინა	8	4	1	3	14:6	13
8.სასუოლო	8	4	1	3	15:14	13
9.პარმა	8	4	1	3	10:9	13
10.მილანი	7	3	3	1	15:10	12
11.ტორინო	8	3	3	2	9:9	12
12.ჯენოა	7	4	0	3	12:14	12
13.კალიარი	8	2	3	3	6:9	9
14.სპალი	8	3	0	5	6:10	9
15.უდინეზე	8	2	2	4	8:10	8
16.ბოლონია	8	2	1	5	4:10	7
17.ატალანტა	8	1	3	4	9:11	6
18.ემპოლი	8	1	2	5	5:10	5
19.ფროზინონე	8	0	1	7	3:21	1
20.კიევო	8	0	2	6	6:19	-1

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

საფრანგეთი

20.10 პსჟ-ამიენი	1.07	11.0	29.0
20.10 კაენი-გენგამი	2.2	3.1	3.5
20.10 დიჟონი-ლილი	3.25	3.5	2.15
20.10 სტრასბური-მონაკო	2.55	3.4	2.7
20.10 რეიმსი-ანჟე	2.25	3.0	3.5
20.10 ნანტი-ტულუზა	2.0	3.3	3.9
21.10 მონპელიე-ბორდო	2.1	3.1	3.8
21.10 სტ.ეტიანი-რენი	2.2	3.25	3.4
21.10 ნიცა-მარსელი	3.2	3.7	2.1

პსჟ-ამიენი

პსჟ:***ტრავმ***-პრენსელ კიმპეგე, დანი ალვეში

ამიენი: ***ტრავმ***-ქვენტინ კორნე, ალექსის ბლინი, ბონგანი ზუნგუ, სტივენ მენდოზა

კაენი-გენგამი

კაენი: ***ტრავმ***-რომან ჟენევო, ისმაილ დიომანდე

გენგამი: ***ტრავმ***-ფელიქს ებოა ებოა, კრისტოფ კერბრატი, მარკუს ტურამი, ნოლან როუ

დიჟონი-ლილი

დიჟონი: ***ტრავმ***-არავინ

ლილი: ***ტრავმ***-ჰეკა

სტრასბური-მონაკო

სტრასბური: ***ტრავმ***-იდრის საადი, იონას მარტინი

მონაკო: ***ტრავმ***-ჯემერსონი, ანდრეა რაგი, კევინ ნდორამი, პიეტრო პელეგრი

რეიმსი-ანჟე

რეიმსი: ***ტრავმ***-ხავიერ კავალერინი

ანჟე: ***ტრავმ***-მატეო პავლოვიჩი

ნანტი-ტულუზა

ნანტი: ***ტრავმ***-მატ მიაზგა

ტულუზა: ***ტრავმ***-იბრაჰიმ სანგარე, იაია სანოგო

მონპელიე-ბორდო

მონპელიე: ***ტრავმ***-ამბროს ოიონგო, ფლორენ მოლე, კიგან დოლი

ბორდო: ***ტრავმ***-მაქსიმ პუნდიე

სტ.ეტიანი-რენი

სტ.ეტიანი: ***ტრავმ***-ოლე სელნაესი, გაბრიელ სილვა

რენი: ***ტრავმ***-არავინ

ნიცა-მარსელი

ნიცა: ***ტრავმ***-პიერ ლეს-მელოუ, ვიქტორ მაკენგო

მარსელი: ***ტრავმ***-ლუკას ოკამპოსი, ლუის გუსტავო

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	9	9	0	0	32-6	27
2.ლილი	9	6	1	2	17-7	19
3.მარსელი	9	5	1	3	21-16	16
4.მონპელიე	9	4	4	1	12-7	16
5.სტ.ეტიენი	9	4	3	2	11-12	15
6.ლიონი	9	4	2	3	14-12	14
7.ბორდო	9	4	2	3	13-11	14
8.ტულუზა	9	3	4	2	10-12	13
9.სტრასბური	9	3	3	3	16-13	12
10.ანჟე	9	3	2	4	11-12	11
11.რენი	9	3	2	4	12-14	11
12.ნიცა	9	3	2	4	7-13	11
13.ამიენი	9	3	1	5	11-13	10
14.ნიმი	9	2	4	3	13-16	10
15.კაენი	9	2	4	3	10-13	10
16.დიჟონი	9	3	1	5	9-13	10
17.რეიმსი	9	2	4	3	4-9	10
18.მონაკო	9	1	3	5	9-13	6
19.ნანტი	9	1	3	5	8-16	6
20.გენგამი	9	1	2	6	6-18	5

დუდუ დადიანის თასზე პირველი ფინალისტი დელტაა

დუდუ დადიანის მემორიალზე პირველი ფინალისტის ვინაობა გაირკვა. ა ჯგუფიდან სატიტულო მატჩში ასპარეზობის უფლება 2 ტურით ადრე თბილისის დელტამ გაინაღდა.

გუნდი, რომელმაც გასულ სუპერლიგაში მე-8 ადგილი დაიკავა, ოლიმპიურ სასახლეში მიმდინარე დადიანის თასზე ზედიზედ მე-3 გამარჯვება მოიპოვა და ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე 2 დღით ადრე ყველასთვის მიუწვდომელი გახდა. მეორე ჯგუფში კი ფავორიტი გამოიკვეთა – ქუთაისს 2-დან 2 მოგება აქვს. იმერულ კლუბთან ერთად ჯგუფიდან გასასვლელად შსს აკადემია-ტიტები, მგზავრები და ოლიმპი იბრძვიან.

დელტა-თსუ-ჰიუნდაი 73:63

ჯგუფში, სადაც დინამო, რუსთავი, თსუ-ჰიუნდაი და ბათუმია, პირველი ადგილი დელტამ მოიპოვა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილი გუნდი, ნახსენები მეტოქეებისთვის მიუწვდომელი გახდა მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფში კიდევ 2 ტურია დარჩენილი. ამ 2 ტურიდან დელტა ერთში ისვენებს, ხოლო ერთი მატჩი ბათუმთან დარჩა, რომლის წაგების შემთხვევაშიც კი ჯგუფში პირველ ადგილზე გადის.

დელტამ ჯგუფიდან გასვლა თსუ-ჰიუნდაისთან გამარჯვების შემდეგ გაინაღდა. ორივე გუნდი დაუმარცხებელი გახლდათ და ბოლო წუთებამდე საკმაოდ თანაბარი, დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა. კვანძი ბოლოს გაიხსნა, როცა დელტას ლიდერობამ 10 ქულას მიაღწია და ლაფანაშვილის გუნდი მიუწვდომელი გახდა. გამარჯვებაში მთელმა გუნდმა დიდი წვლილი შეიტანა, ბოლო წუთებზე კი განსაკუთრებით ამერიკელმა ლეგიონერებმა – რობ ბრანდენბერგმა და მალკოლმ დრამრაითმა იყოჩაღეს, რომელმაც სამქულიანებითა და სწრაფი გარღვევებით აიკლეს თსუ-ჰიუნდაელთა კალათი. გამოსარჩევია ბექა ბექაურის გარჯაც, რომელმაც შეხვედრა 15 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ამერიკელმა სხვა ლატარიის მომგებიანი რიცხვებით მეორე ლატარიაში მოიგო



ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრებმა ლატარიაში 50 ათასი დოლარი მოიგო, რისთვისაც საკუთარი არჩევანი სულ სხვა ლატარიის გათამაშებაში მომგებიანი რიცხვების კომბინაციაზე გააკეთა.

59 წლის ედგარდო ანტიდომ განაცხადა, რომ ფილიპინების ტელეარხის გადაცემის ყურების დროს გადაწყვიტა, ჩაეწერა რიცხვების კომბინაცია, რომელიც ულტრალოტოს გათამაშებაში მომგებიანი აღმოჩნდა. მან იგივე რიცხვები გამოიყენა მერილენდის შტატის ლატარიის გათამაშებაში.

რიცხვებმა 3-12-16-36-38 მამაკაცს მოულოდნელად 50 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

– შოკში აღმოვჩნდი, ვეღარ ვიძინებ, – აღიარა ლატარიის გამარჯვებულმა.

ის მოგებული თანხის ნაწილით დასვენებას აპირებს, ხოლო დანარჩენს ბანკში საკუთარ ანგარიშზე შეიტანს.

მოხუცებულთა სახლში ბებიებს შიშველი ოფიციანტები მოემსახურნენ

ბრიტანეთის ესექსის საგრაფოს ქალაქ კოლჩესტერში მოხუცებულთა სახლში ბებიებს წვეულება შიშველი ოფიციანტების მომსახურებით მოუწყვეს.

აღნიშნული ღონისძიება მილტონ ლოჯის მოხუცებულთა სახლში გაიმართა. მისმა ორგანიზატორმა კლერ მარტინმა განაცხადა, რომ ასეთი წვეულების გამართვის იდეა 89 წლის ჯოან კორპს ეკუთვნოდა.

– ყოველ ჯერზე, როდესაც ჯოანს ვეკითხებით, თუ რას ისურვებდა დღეს, ის გვპასუხობდა: მამაკაცი. ამიტომ სულაც არ გაგვკვირვებია, როდესაც მან ნახევრად შიშველი ოფიციანტი მამაკაცები მოითხოვა. ჩვენ ეს იდეა ჩათში განვიხილეთ და მას ყველამ დაუჭირა მხარი, – განმარტა მარტინმა.

მომსახურე პერსონალის რანგში მოხუცებულთა სახლში სერვისის „ლამაზმანები საცურაო ტრუსებში“ თანამშრომლები გამოცხადდნენ. ისინი აბსოლუტურად შიშვლები მუშაობდნენ და გენიტალიებს მხოლოდ წინსაფარი უფარავდათ.

მისი თქმით, 11-ვე ბებია წვეულებისთვის საგანგებოდ გამოეწყო და სკოლის მოსწავლე გოგონებივით ხითხითებდნენ. ოფიციანტებმა მათ სამი კერძისგან შემდგარი სადილი მიართვეს, ასევე ბებიებს მასაჟებს სთავაზობდნენ და ამაზე უარი არც ერთს არ უთქვამს. წვეულებას ასევე ესწრებოდნენ ბებიების ქალიშვილები და შვილიშვილები.

მოხუცებულთა სახლის ყველაზე ასაკოვანმა ბინადარმა, 99 წლის დოლ ჯენკინსმა, მაღალი შეფასება მისცა ოფიციანტების მომსახურებას და ითხოვა, რომ მისი ასი წლის თავზეც ეწვიონ მოხუცებულთა სახლს.

მამაკაცის მიერ სიკვდილის ინსცენირებას მისი ცოლი და ბავშვები ემსხვერპლნენ

ჩინეთის პროვინცია ხუნანის ქალაქ ლოუდიში ქალმა დახოცა შვილები და თავი მოიკლა მას შემდეგ, როდესაც მისმა ქმარმა სიკვდილის ინსცენირება გაითამაშა.

34 წლის მამაკაცი 7 სექტემბერს დაიკარგა. 12 დღის შემდეგ მდინარეში იპოვეს ავტომობილი, რომლითაც ის მგზავრობდა, თუმცა მასში მისი ცხედარი ვერ აღმოაჩინეს. მისი მშობლები შვილის გაუჩინარებაში მის მეუღლეს ადანაშაულებდნენ. მათი თქმით, ის მეტისმეტად ბევრ ფულს ხარჯავდა ისე, რომ თავად არ მუშაობდა.

10 ოქტომბერს ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სიკვდილის წინ დაწერილ წერილში ის წერდა, რომ მისი მისამართით გამოთქმული ბრალდების საწინააღმდეგოდ მის ხარჯები გონივრულ ფარგლებს არ გასცილებია, ხოლო სახლში ჯდომა იმისთვის უხდებოდა, რომ შვილებზე ეზრუნა. ის წერდა, რომ მეუღლე უყვარდა და სურდა, რომ გარდაცვალების შემდეგ მთელი ოჯახი ისევ ერთად ყოფილიყო.

ცოლის და შვილების დაღუპვის შეტყობის შემდეგ, დაკარგული მამაკაცი გამოჩნდა და პოლიციას ჩაბარდა. როგორც გაირკვა, ის ვერ ახერხებდა ვალების და კრედიტების გასტუმრებას, რომელთა საერთო რაოდენობამ 100 ათას იუანს მიაღწია და ამიტომ გადაწყვიტა ოჯახი სხვა გზით უზრუნველეყო: საკუთარი სიცოცხლე მილიონ იუანად დააზღვია და ამის შემდეგ თავი დაღუპულად გაასაღა. დაზღვევა მის მეუღლეს უნდა მიეღო, რომელმაც არაფერი იცოდა მისი გეგმის შესახებ.

მართალია სამართალდამცავებმა მამაკაცი დაიკავეს, თუმცა მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დეეკისრება, ვინაიდან სადაზღვევო კომპანიისთვის არავის მიუმართავს და აქედან გამომდინარე, თაღლითობასაც ადგილი არ ჰქონია. ასევე, მეუღლის და ბავშვების დაღუპვის ბრალდებასაც ვერ წაუყენებენ.

ასტროპროგნოზი

20 ოქტომბისათვის

ვერძი – გაიხსენეთ ის ადამიანები, რომლებმაც ერთ დროს დახმარების ხელი გამოგიწოდეს. მადლიერება დღის დევიზია. **კურო** – ძველ მეგობარს იოლად ნუ აწყენინებთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. იკითხეთ თქვენთვის საინტერესო ლიტერატურა. **ტყუპები** – ცოდნის მისაღებად დრო გამონახეთ. ცხოვრებას ფეხი აუწყვეთ. **კირჩხიბი** – ნუ იკამათებთ, ნუ შეეცდებით, ვინმეს თქვენი სიმართლე დაუმტკიცოთ. მაინც არაფერი შეიცვლება. **ლომი** – შეიცვალეთ გარემო, გაიფართოვეთ ცოდნის არეალი, მიიღეთ ახალი ინფორმაცია.**ქალწული** – ქალაქიდან გასასვლელად დღეს შეუფერებელი პერიოდია. უკეთესი იქნება, თუ საოჯახო საქმეების მოგვარებაზე იზრუნებთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. რასაც ჩაიფიქრებთ, შეასრულებთ. ხალხმრავალ ადგილებს ერიდეთ. **ღრიანკალი** – წარსულზე ფიქრში დროს ნუ დაკარგავთ. ახალი მიზანი დაისახეთ და მის განხორციელებას თამამად შეუდექით. **მშვილდოსანი** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით და მიღწეულს ნუ დასჯერდებით. **თხის რქა** – ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. მცირე შეცდომაც კი ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **მერწყული** – მიღებული ინფორმაცია გადაამოწმეთ. შესაძლოა მოტყუებული დარჩეთ. **თევზები** – მიწაზე დაეშვით. რეალობა სათანადოდ აღიქვით. წინააღმდეგობების დაძლევაში გონიერი ადამიანების იმედი იქონიეთ.

21 ოქტომბისათვის

ვერძი – მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. ნუ ელით დახმარებას გარეშე პირებისგან. ფინანსებს გაუფრთხილდით.**კურო** – იღბლიანი დღეა. შრომის ნაყოფიერება საკმაოდ იზრდება. საქმე გულდასმით და აუჩქარებლად აკეთეთ. **ტყუპები** – ჰარმონიული დღეა. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. შანსი გეძლევათ, კონტაქტი დაამყაროთ საჭირო ადამიანებთან. **კირჩხიბი** – დღეს მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. ერიდეთ ფულის უაზრო ხარჯვას. მოსალოდნელია მცირე გაუგებრობა გარშემომყოფებთან. **ლომი** – ნუ იაქტიურებთ. აუჩქარებლად და თავდაჯერებულად იმოქმედეთ. ეს განსაკუთრებით პროფესიონალურ სფეროს ეხება. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები გაგახარებთ და ოპტიმიზმს შეგმატებთ. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები.**სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სიარული ან ბაღში მუშაობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. **ღრიანკალი** – საოჯახო პრობლემები გიგროვდებათ. ეს დღე თქვენგან სიმამაცეს მოითხოვს. **მშვილდოსანი** – ნურავის მისცემთ ნებას, თავისი გავლენის ქვეშ მოგაქციოთ. სიტუაცია შესაძლოა თქვენ სასარგებლოდ შეიცვალოს. **თხის რქა** – სამოგზაუროდ წასვლას თუ გადაწყვეტთ, კმაყოფილი დარჩებით. ახალი შთაბეჭდილებები დადებითად წაგადგებათ. **მერწყული** – ერიდეთ კონფლიქტურ და ნერვულ ადამიანებთან საქმის გარჩევებს. შესაძლოა კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. **თევზები** – საკმაოდ რთული დღეა. მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მოგიწევთ, თუმცა ბედი გწყალობთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

დუდუ დადიანის თასზე პირველი ფინალისტი დელტაა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბათუმი-დინამო 72:88

დადიანის მემორიალზე პირველი უთანასწორო მატჩი ეს გამოდგა. 2 მატჩის წამგებმა დინამომ საკუთარი თამაში იპოვა და მეტოქეს ისე სძლია, წინააღმდეგობას ფაქტობრივად არ წასწყდომია. მეტ-ნაკლებად დაძაბული გამოდგა პირველი პერიოდი, რომელიც დინამოელებმა 5 ქულით მოიგეს, მეორე მეოთხედიდან კი დადიანის თასის მოქმედმა მფლობელმა სოლიდური უპირატესობა რომ მოიპოვა, მატჩის ბოლომდე შეინარჩუნა. სამწუხაროდ, ორივე გუნდს ფინალში გასვლის შანსი დაკარგული აქვთ და ჯგუფის დარჩენილ მატჩებს მომავალი სუპერლიგისთვის მოსამზადებლად გამოიყენებენ.

ჯაჯტუსი-ქუთაისი 64:104

საბოლოო ანგარიშიდან კარგად ჩანს, რომ მატჩის სადავეებს მთლიანად ქუთაისელები ფლობდნენ და მეტოქეს ისე იოლად მოუგეს, პრობლემა წამითაც არ შექმნიათ. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა მთავარი მწვრთნელის გარეშე მყოფი კაკტუსი 40 ქულით დაამარცხა.

არჩილ ჟღენტს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და კაკტუსს მემორიალის საწყის მატჩებში ვერ გაუძღვა. გუნდმაც 2 მატჩი ბოლო წამებზე წააგო, ამჯერად კი, ქუთაისთან შეხვედრა უიმედოდ დათმო.

პირველი პერიოდი იმერულმა კლუბმა 27:14 მოიგო, დიდი შესვენებისთვის კი 24 ქულით იგებდა. მეორე ნახევარში სცენარი არ შეცვლილა და ქუთაისი ტურნირზე მეორე გამარჯვებამდე მშვიდად მივიდა. ქუთაისელებს 21 ქულით გიორგი ბარბაქაძემ, ხოლო 20 ქულითა და 8 მოხსნით აკაკი დვალიშვილმა ულიდერეს.

ოლიმპი-ტიტები 77:87

სუპერლიგის დებიუტანტი ტიტები თამაშიდან თამაშამდე უმატებს. დავით უსტიაშვილის გუნდმა ოლიმპს 10 ქულით მოუგო და ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი აქვს. მატჩის უმეტეს დროს ტიტები ლიდერობდნენ, ოლიმპი კი ცდილობდა წამოწევას. დიმიტრი ჯაკობოვის გაწვრთნილმა ოლიმპელებმა ეს რამდენჯერმე მოახერხეს კიდეც, თუმცა გადამწყვეტ მომენტში მოწოდების სიმაღლეზე ყოელ ალმეიდა და მისი თანაგუნდელები იდგნენ. კაპოვერდელმა ლეგიონერმა საბოლოოდ 30 ქულა მიითვალა და ტიტებს გამარჯვებაში დიდად დაეხმარა.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 2. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ანსამბლი; 3. ფრანგული კოსმოსური ხომალდების სერია; 4. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული მონღოლეთში; 6. უნგრული წვნიანი კერძი; 9. ლირიკული სიუჟეტის ზანგური სასიმღეროსაცეკვაო მუსიკა; 11. ჩინელი ფილოსოფოსი; 12. დედამიწის ქერქი, მტკიცე გარსი; 16. პირველი ელექტროსადგური საქართველოში; 17. მსოფლიოში მოპოვებული ყველაზე დიდი ალმასი; 19. კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღვარი; 21. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 22. ინდიელთა ვიწრო, გრძელი ნავი.

თარაზულად: 5. ტყავის დასამუშავებელი საამქრო ძველად; 7. ძალიან იშვიათი ნივთი; 8. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. სარეკლამო ლოზუნგი; 12. „ლივერპულის“ მწვრთნელი; 13. ფინეთის მეორე სახელწოდება; 14. სპარს დამპყრობთა სახელწოდება საქართველოში; 18. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 20. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცი ასრულებს; 23. ბელორუსიის დედაქალაქი; 24. მდინარე კახეთში; 25. ფრანგი კინორეჟისორი; 26. ქალაქი შიდა ქართლში; 27. ახალი ათონის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბათუმი; 2. ინდიგო; 3. რიეკა; 5. ბაკი; 6. ქართლი; 8. კიანტი; 11. რქაწითელი; 13. ვაუჩერი; 14. მერიოტი; 15. ჰამლეტი; 19. პაბი.

თარაზულად: 1. ბუდვაიზერი; 4. თამბაქო; 7. თალმუდი; 9. კალიბრი; 10. გროგი; 12. კინტრიში; 16. დისკუსია; 17. მუხიანი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლორნეტი; 21. ფიცი; 22. ფართინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. უტზონი; 2. ციცქა; 3. პრიზმა; 4. მალაგა; 6. მორავია; 9. ქარვა; 11. ბენფიკა; 15. კურცხაარი; 16. ლაზერი; 17. ავადხარა; 19. აქსიომა; 21. ბაიკერი; 22. ცაცხვი.

თარაზულად: 5. სტატისტი; 7. ორატორი; 8. ალონსო; 10. ფარვანა; 12. გორდი; 13. ელესა; 14. რევოკაცია; 18. მაფია; 20. საბვეი; 23. ჩალხია; 24. იკეა; 25. მარუხი; 26. ვერა; 27. არითმია.

ნანიკო ხაზარაძე: „ხელფასამდე 2 კვირით ადრე საფულე ცარიელია“

ტელეწამყვან ნანიკო ხაზარაძეს ფული არ ჰყოფნის. ამ ფაქტმა ჟურნალისტი იმდენად შეაწუხა, რომ სოციალურ ქსელშიც კი დაიწუწუნა:

– ეს არ ეხება მათ, ვინც არ მუშაობთ და ბევრნი ხართ ასეთი.

იგივე ხელფასი მაქვს, რაც მქონდა. ცხოვრების ხარისხი არ გამიუმჯობესებია და ხელფასამდე 2 კვირით ადრე საფულე ცარიელია.

ნინო ბაშარული კოლეგებს აკრიტიკებს

მომღერალი ნინო ბაშარული კოლეგებს აკრიტიკებს და მათ, ძველი სიმღერების გადამღერების ნაცვლად, ახალი სიმღერების შესრულებისკენ მოუწოდებს:

– მწუხარება მიპყრობს ხოლმე, როდესაც მომღერლები ძველ სიმღერებს ფეხბურთის ბურთივით გაიგდებენ ფეხქვეშ და კენწლავენ როგორც უნდათ, ისე...

კითხვაც კი არ უჩნდებათ, რაიმე ახალი ხომ არ არ შევქმნა? ან თუ არ შემიძლია დავწერო სიმღერა, კომპოზიტორი მაინც შევარჩიო, გადავუხადო ჰონორარი და დამიწეროს ის, რასაც არავინ მღერის და რაც მხოლოდ ჩემი იქნება...

გემუდარებით, იფიქრეთ ამაზე, მომღერლებო. ნუ აზარმაცებთ გონებას და წარმოსახვას. მიეცით ნიჭსა გზა ფართო! თქვენ ეს გამოგივათ! ქართული გენი შეუძლებელს აკეთებს! უბრალოდ მოინდომეთ, შექმენით და დაუტოვეთ სამყაროს ის, რაც თქვენია.

ნინო ლეჟავა ხოსე კარერასის მასტერკლასისთვის ქართველ მომღერლებს შეარჩევს

ცნობილი ქართველი სოპრანო ნინო ლეჟავა თბილისში ჩამოვიდა. იგი გამოჩენილი ესპანელი მომღერლის ხოსე კარერასის მასტერკლასში მონაწილეობისთვის ახალგაზრდა მომღერლებს შეარჩევს.

ქართველი სოპრანო „რენატა ტებალდის და მარიო დელ მონაკოს“ სახელობის საოპერო მომღერლების საერთაშორისო აკადემიის სამხატვრო დირექტორია. ნინო ლეჟავა 25 ოქტომბერს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში კონცერტს გამართავს. კონცერტს უდირიჟორებს ბელგრადის სახელმწიფო საოპერო თეატრის დირექტორი დეჟან საჰიჩი, რომელიც ბათუმს სპეციალური სტუმრის სტატუსით ეწვევა. კონცერტი ბათუმის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დაარსებიდან 40 წლისთავს მიეძღვნება. ცნობილი სოპრანო ნინო ლეჟავა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიურ ორკესტრთან და კაპელასთან ერთად იმღერებს.

26 ოქტომბერს კი ნინო ლეჟავა ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალური სკოლის საკონცერტო დარბაზში მასტერკლასს გამართავს და გამოჩენილი ესპანელი მომღერლის ხოსე კარერასის მასტერკლასში მონაწილეობისთვის, რომელიც იტალიაში, ქალაქ პეზაროში, როსინის სახელობის კონსერვატორიაში, 19-დან 26 იანვარს გაიმართება, ახალგაზრდა მომღერლებს შეარჩევს. ასევე, ერთ საუკეთესო მომღერალს ნინო ლეჟავა მასტერკლასზე უფასო მონაწილეობის უფლებას გადასცემს.

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ნესტორ ბრეგვაძე, შვილები ნესტანი, ზიზი, სიძე დათო ბუაჩიძე, ძმა მელორ ტყეშელაშვილი, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნაზი ტყეშელაშვილი

პანაშვიდი: 20, 21 ოქტომბერს, 17 საათზე, თბილისი, ორთაჭალა, ალ.ჯაფარიძის 24.

გამოსვენება: სამშაბათს, 23 ოქტომბერს, ვანში, სოფელ ამაღლების ეკლესიიდან.

დგებუაძეების საგვარეულო კავშირი იუწყება, რომ 90 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

დავით დგებუაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

თბილისში ჯოვანი სკუდიერის სახელობის ქუჩა გაიხსნა

თბილისში გამოჩენილი არქიტექტორის ჯოვანი სკუდიერის სახელობის ქუჩა გაიხსნა.

ჩვენს დედაქალაქში და მთელი საქართველოს მასშტაბით არსებული ძალიან ბევრი და ლამაზი არქიტექტურული ნაგებობა უკავშირდება მის სახელს. ბევრმა ალბათ არ იცის, რომ სწორედ ჯოვანი სკუდიერის შემოქმედებაა მშრალი ხიდი, ქარვასლა და თეატრი, ოპერის ძველი შენობა ყოფილ ერევანსკის მოედანზე, რომელსაც ახლა თავისუფლების მოედანი ჰქვია.

ჯოვანი სკუდიერი მე-19 საუკუნის გამორჩეული ხელოვანი იყო, რომლის მიერ შექმნილი არქიტექტურული ნაგებობები ფასდაუდებელია ჩვენი ქვეყნისთვის. მისი შემოქმედების და სახელის უკვდავსაყოფად, თბილისის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ჯოვანი სკუდიერის სახელი მიენიჭებინა.

მარჯანიშვილის თეატრი სერვანტესის ფესტივალზე მიიწვიეს

მარჯანიშვილის თეატრი სპექტაკლით „როგორც გენებოთ“ სერვანტესის სახელობის საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს. სპექტაკლი „როგორც გენებოთ“ რეჟისორმა უილიამ შექსპირის მიხედვით დადგა. სპექტაკლში მონაწილეობენ მანანა კოზაკოვა, ნატა მურვანიძე, ნატუკა კახიძე, ქეთა შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკა თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურა ბერიკაშვილი, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე. სერვანტესის ფესტივალი მექსიკაში იმართება. ფესტივალში მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნის თეატრები იღებენ. მარჯანიშვილელები სპექტაკლებს ლეონში და გუანაჰუატოში ითამაშებენ.

ეკატერინე მახმიშვილი, მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი:

– სპექტაკლები მექსიკაში, ლეონსა და გუანაჰუატოში. დიახ, სერვანტესის ფესტივალზე!

გალაკტიონის მუზეუმში ახალი პროექტი იწყება

თბილისის მუზეუმების გაერთიანების გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ ბინა-მუზეუმი იწყებს ღონისძიებათა ციკლს „თანამედროვე ზღაპარი – ნახატი ფილმი“. პირველი შეხვედრის თემაა „ქართული მულტიპლიკაცია წარსულიდან დღემდე“.

„მულტიპლიკაცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და გამრავლებას ნიშნავს. ეკრანზე ნახატი რომ ამოძრავდეს, ამისათვის ერთი ნახატის უამრავ სხვადასხვა მდგომარეობაში დახატვაა საჭირო. მულტფილმი ბავშვისთვის სამყაროს მრავალმხრივი შეცნობაა. ამიტომ ისინი ნახატ ფილმს აღიქვამენ როგორც რეალობას, რომელიც აკმაყოფილებს ბავშვის ცნობისმოყვარეობას, ემოციურ მოთხოვნებს, უვითარებს აზროვნებასა და წარმოსახვის უნარს. ქართულ მულტიპლიკაციას საფუძველი მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჩაეყარა. პირველი ქართული მხატვრული მულტიპლიკაციური ფილმი „არგონავტები“ 1935 წელს გადაიღო ქართული ნახატი ფილმების ფუძემდებელმა, მხატვარმა და რეჟისორმა ვლადიმერ მუჯირმა.

ფილმის მთავარი მხატვარია ცნობილი ქართველი ხელოვანი ლადო გუდიაშვილი, კომპოზიტორი კი შალვა აზმაიფარაშვილი. მოგვიანებით გაჩნდა ისეთი ქართული ნახატი ფილმები, როგორიცაა?„წუნა და წრუწუნა“, „თოვლის გუნდა“, „კომბლე“...

პროექტის ფარგლებში მულტიპლიკატორი ლადო სულაქველიძე პატარებთან შეხვედრას გამართავს და ისაუბრებს თემაზე, თუ რა როლი ითამაშა ქართულმა მულტიპლიკაციის არსებობამ საზოგადოებაში და როგორი განვითარება ჰპოვა მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე. ასევე ის აჩვენებს საკუთარ ნამუშევრებსაც. მსურველები ერთ კონკრეტულ სიუჟეტზე ანიმაციურ ფაზებს შექმნიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ზოოპარკის დამთვალიერებელი ვეფხვების ვოლიერში სათვალის დასაბრუნებლად გადაძვრა

კალიფორნიის შტატის ქალაქ ოკლენდის ზოოპარკში დამთვალიერებელი ღობეზე გადაძვრა და ვეფხვების ვოლიერს მიუახლოვდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გაავრცელა.

კადრებში ჩანს, რომ მამაკაცი ღობეზე ავიდა და უკვე ვოლიერში ჩასვლას აპირებდა, მაგრამ მოახლოებული მტაცებელი შენიშნა და შეჩერდა. მის ამ ქმედებას თვალს ზოოპარკის სხვა დამთვალიერებლები ადევნებდნენ. ერთ-ერთი მათგანის თქმით, ზოოპარკის თანამშრომელმა მამაკაცი გამოლანძღა და მოსთხოვა, რომ მსგავსი რამ აღარ გაეკეთებინა.

– ის წინაღობაზე გადახტა, მაგრამ ვეფხვი მისკენ გამოვარდა და ისიც უკანვე გადმოხტა. გავიგე, ვიღაცა ამბობდა, რომ მას ვოლიერში სათვალე გადაუვარდა, თუმცა, როდესაც უკანვე გადმოძვრა, ხელში არაფერი ეჭირა, – აღნიშნა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

მოგვიანებით ზოოპარკის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც დამთვალიერებლებს მოუწოდა, რომ საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაეგდოთ.

ჯ. ხ.

ბრიტანელი სექსის დროს საწოლიდან გადმოვარდა და დაინვალიდდა

ლონდონის უმაღლესი სასამართლო ბრიტანეთის ბერკშირის საგრაფოს ქალაქ მეიდენჰერდის მცხოვრები ქალბატონის კლერ ბასბის საქმეს განიხილავს, რომელიც ავეჯის კომპანიას უხარისხო პროდუქციის დამზადების გამო უჩივის. ის ამტკიცებს, რომ სექსის დროს დივანმა ის „გადმოაგდო“, რის შედეგადაც სერიოზულად დაიზიანა ხერხემალი. ინციდენტი 2013 წლის აგვისტოში მოხდა, როდესაც მის სახლში შესაკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობდა. ბასბის ახალი ავეჯი მიუტანეს, მათ შორის დივანიც, რომელზეც რამდენიმე დღის შემდეგ ის თავის პარტნიორთან სექსით იყო დაკავებული. ამ პროცესის დროს, ქალის მტკიცებით, გასაშლელი დივანის შუაგულიდან „მოისროლა“ და თავი ძირს ძლიერად დაარტყა. მიღებული ტრავმის შედეგად ქალი პარალიზებული აღმოჩნდა.

ბასბის აზრით, დივანი გამართული არ იყო. ის მისი დამამზადებელი ფაბრიკისგან „შვიდნიშნა კომპენსაციას“ მოითხოვს. დაზარალებულის და, რომელმაც გასაშლელი დივანი ინციდენტის შემდეგ ნახა, ამტკიცებს, რომ მას ორი ფეხი აკლდა. მისივე თქმით, დივანის ორი ძირითადი ნაწილი კარგად არ იყო დამაგრებული და ამ ყოველივეს გამო მისი ერთი ნაწილი მეორეზე მაღლა იდგა.

ავეჯის მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ადგილზე მიტანის დროს დივანი სწორედ იქნა აწყობილი და ორი ფეხის დაკლების შემთხვევაშიც კი მოსარჩელის მიერ აღწერილი შემთხვევა ვერ მოხდებოდა. ფაბრიკის ხარისხის კონტროლის სპეციალისტი ვარაუდობს, რომ სექსის დროს წყვილი უბრალოდ ძალიან ახლოს იყო კიდესთან და სწორედ ამიტომაც დაკარგა ქალმა წონასწორობა და დივანიდან გადმოვარდა.

ჯ. ხ.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

20 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6838

ევრო — 3.1022

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5265

100 რუსული რუბლი — 4.0978

ამინდის პროგნოზი 20 ოქტომბრისთვის

არსენ ვენგერი ბაიერნის მწვრთნელი გახდება?

არსენ ვენგერი, შესაძლოა, მალე აქტიურ სამწვრთნელო კარიერას დაუბრუნდეს.

გერმანულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მალე ბაიერნი ნიკო კოვაჩს თანამდებობიდან გაანთავისუფლებს და მის ადგილს არსენ ვენგერი დაიკავებს. ჯერჯერობით ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დადასტურებულა.

კოვაჩის წასვლაზე რამდენიმე კვირაა მიდის საუბრები. ბაიერნმა სეზონი ცუდად დაიწყო და 7 ტურის შემდეგ მიუნხენელები სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზე არიან. თუ ასე გაგრძელდა, კოვაჩი მალე დატოვებს მწვრთნელის პოსტს.

მაურო იკარდის ინტერიდან წასვლა არ სურს



ინტერის არგენტინელ ფორვარდს მაურო იკარდის ამ გუნდიდან წასვლა არ სურს, მიუხედავად იმისა, რომ მას მადრიდის რეალი ეპატიჟება.

იკარდიმ განაცხადა, რომ ინტერში ბედნიერია და არ აქვს სურვილი, რომ სხვა გუნდში სცადოს ბედი:

– ინტერმა ყველაფერი მომცა და ამ გუნდის მადლიერი ვარ, რადგან ინტერი დღემდე ყოველთვის ჩემ გვერდით არის და მეხმარება, რომ უკეთესი ფეხბურთელი გავხდე.

საუბარი იყო იმაზე, რომ ინტერი და რეალი ერთმანეთში იკარდის და მოდრიჩს გაცვლიდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სიმართლე არ არის.

პაულო დიბალამ მცირე ტრავმა მიიღო



ტურინის იუვენტუსის არგენტინელმა შემტევმა, პაულო დიბალამ ბრაზილიის ნაკრებთან შეხვედრაში მცირე ტრავმა მიიღო და მოედანი დროზე ადრე დატოვა.

დიბალას ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა, მაგრამ მან მაინც შეიძლება გამოტოვოს რამდენიმე თამაში, მაგალითად, შეხვედრა მანჩესტერ იუნაიტედთან, რომელიც სამშაბათს გაიმართება.

დიბალამ განაცხადა, რომ თავს კარგად გრძნობს და სათამაშოდ მზად არის.

ბარსელონას ნეიმარის დაბრუნება არ სურს

ბარსელონას არ სურს, რომ ნეიმარი ამ გუნდში დაბრუნდეს. ბარსელონას სპორტული დირექტორის თქმით, ეს ვარიანტი არც განიხილება.

კატალონიურმა გუნდმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ნეიმარის შესაძლო დაბრუნებაზე გავრცელდა ინფორმაცია.

ამ ინფორმაციის თანახმად, ნეიმარს მობეზრებული აქვს პსჟ და სურს, რომ ისევ ბარსელონას ფეხბურთელი გახდეს.

პსჟ-ში ნეიმარი 2017 წელს გადავიდა და მის ტრანსფერში ფრანგულმა გუნდმა 222 მილიონი ევრო გადაიხადა.

იუმორი

თბილისში მცხოვრებს სოფლიდან ნათესავი ურეკავს და ეკითხება:

– რას შვრებით, როგორ ხართ, როგორ მიდის ცხოვრება თბილისში?

– ცუდად, ჩამოსვლას არ გირჩევთ.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ტელეფონზე ეუბნება:

– დღეს სიღატაკის ლიკვიდაციისთვის ბრძოლის საერთაშორისო დღეა.

– მერე, რას აპირებ?

– ჩემი შემოსავლის გათვალისწინებით, სახლიდან გამოსვლის მეშინია...

•••

პოლიციელი გოგონას მშობლებს ეუბნება:

– სამწუხაროდ, უნდა გითხრათ, რომ გუშინ თქვენი გოგონა კლუბში დათვრა!

– ტყუილია! გუშინ მას პირში არაფერი ჩასვლია.

– მაშინ ორმაგად უნდა დაგამწუხროთ...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, მალე ჩვენთან როკფესტივალი გაიმართება სახელწოდებით: „როკი ნარკოტიკების წინააღმდეგ!“

– ჰო, აბა რა. ეგ იგივეა, რაც „ფუტკრები თაფლის წინააღმდეგ!“

•••

მამა შვილის წამოსაყვანად საბავშვო ბაღში პირველად მივიდა. მასწავლებელი ეკითხება:

– რომელია თქვენი ბავშვი?

– რა მნიშვნელობა აქვს, ხვალ ისევ აქ არ უნდა მოვიყვანო?

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– ცხენების გეშინია?

– არა.

– და იმათ შენი?

•••

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამიკო, მე რომ შენხელა გავხდები, შემეძლება, რაც მომინდება, ის ვაკეთო?

– არა, შვილო, მაშინ უკვე ცოლი გეყოლება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან
უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號: HKP-01423
200 PILLS



სიაო ჰუო ლუო დან
რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ილიკო სუხიშვილი განახლებულ „ქეთო და კოტეზე“ მუშაობს

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი „ქეთო და კოტეს“ განახლებული სპექტაკლის პრემიერისთვის ემზადება.

„ქეთო და კოტეს“ დამდგმელი დირიჟორია რევაზ ტაკიძე, რეჟისორი იოანე ხუციშვილი, მხატვარი გიორგი ალექსი-მესხიშვილი, ქორეოგრაფი კი ილიკო სუხიშვილი.

სპექტაკლში მონაწილეობას იღებენ თბილისის ოპერის თეატრის სოლისტები, სტაჟიორები, გუნდი, ორკესტრი და ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“.

„ქეთო და კოტეს“ საპრემიერო ჩვენებები 27 ოქტომბრიდან დაიწყება. პირველ სპექტაკლზე ყველა ბილეთი გაყიდულია.

როგორც ილიკო სუხიშვილი აცხადებს, მისთვის სპექტაკლი „ქეთო და კოტე“ განსაკუთრებულია, რადგან პირველ დადგმაში მისი ბაბუა ილიკო სუხიშვილი მონაწილეობდა. ახლა კი მას, როგორც დიდი ილიკოს შვილიშვილს, უდიდესი პასუხისმგებლობა აქვს, ბაბუის გზა განაგრძოს და ვიქტორ დოლიძის უკვდავ ოპერაში დიდი ილიკო სუხიშვილის დაარსებული ანსამბლის გამორჩეული ხელწერა დატოვოს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. გერმანული იმპერია; 2. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 3. მღრღნელი ჭია-მატლის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 6. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 8. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 11. ცნობილი ქართველი ტყვიით მსროლელი სპორტსმენი ქალი; 13. ფრანგი მოდელიორი; 14. ნახტომი ბალეტში; 15. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; 19. წითელი ფერის ძვირფასი ქვა.

თარაზულად: 1. ტბა საქართველოში; 4. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი; 7. თანამედროვე ქართველი კინორეჟისორი; 9. ფრანგი კომპოზიტორი; 10. ქალაქი იაპონიაში; 12. გასართობად შეთხზული მოკლე, სასაცილო ამბავი; 16. მხარე გერმანიაში; 17. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 18. მორიელის ძველი ქართული სახელწოდება; 20. ღრმა ძილის მდგომარეობა; 21. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა